# ახალგაზრდა ივერიელი

გაზეთი გამოდის 1921 წლიდან

ხუთშაბათი 4 ოქტომბერი № 108 (11594) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 8 კაპ.


## ეს ჩვენი ისტორიაა










# ქვემოთ კი მტკვარი მიედინება...

ბორჯომის რაიონში მტკვრის მაღალ ნაპირზე დგას ციხე-სიმაგრე პეტრესციხე. XI საუკუნიდან იგი იცავდა მტკვრის ვიწრო ხეობას, რომლითაც შეიძლებოდა საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში შემოსვლა. ვინც ხეობას ფლობდა, მას ეჭირა ხელში ჯავახეთის სამხრეთი კარიბჭის გასაღები. ამიტომ ჩვენი წინაპრები, რომლებიც ბრძენი სტრატეგები იყვნენ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ ადგილების უშიშროებას.

პეტრესციხე სამარადჟამოდ შენდებოდა. ქვებს ამაგრებდნენ განსაკუთრებული დუღაბით, რომელმაც დროის გამოცდას გაუძლო. ვერც მტერი, ვერც ქარი და წვიმა ვერაფერს აკლებდა მიუვალ კედლებს. მათ უკან კი ყველაფერი იყო მომარჯვებული ადამიანების ცხოვრებისა და მძიმე მუშაობისათვის. გარემოცვაში ყოფნის დროსაც კი მეომრებს შეეძლოთ თვეობით არ გამოსულიყვნენ ციხე-სიმაგრიდან. კლდეში ამოკვეთილი სპეციალური საცავები დიდი ხნით უზრუნველყოფდა ხალხს საჭმელ-სასმელით.

საკმარისი იყო მტერი იმ მხრიდან გამოჩენილიყო, საიდანაც სათავეს იღებს მტკვარი, რომ ციხე-სიმაგრეზე ცეცხლს ანთებდნენ. კოცონის კვამლს კარგად ხედავდნენ აქედან შემდეგი ციხე-სიმაგრის — გოგიასციხის მეომრები. იქაც ანთებდნენ კოცონს, რათა სხვებისთვის გადაეცათ მტრის მოახლოების ამბავი. ასე გრძელდებოდა ესტაფეტასავით. დროულად შემჩნეული საშიშროება საშუალებას აძლევდა ქართველებს სწრაფად მომზადებულიყვნენ თავიანთი მიწა-წყლის დასაცავად.

დღეს ციხე-სიმაგრე ძეგლია. მისი დანიშნულება აღარ არის ჩვენი სამხრეთი საზღვრების დაცვა. მაგრამ ამით არ შემცირებულა ჩვენთვის მისი მნიშვნელობა. პირიქით, დღესაც პეტრესციხის, ისევე როგორც მისი მსგავსი ძეგლების მნიშვნელობა ძნელია გადაჭარბებით შეაფასო. იგი არის ჩვენი ხალხის ისტორიის, დიდებული და შფოთიანი ისტორიის უტყუარი მოწმე.

**პაატა არჩვაძე**

**ავტორის ფოტო**

**(საქინფორმის ფოტოქრონიკა)**

# ქრონიკა, ინფორმაცია

2 ოქტომბერს თბილისში ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება დადეს თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობებმა. შეთანხმებას ხელი მოაწერეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნოდარ ჭითანავამ და თურქმენეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ბეკი ანაევმა.

●

9 ოქტომბერს გამოვლინდება გამარჯვებული ვიქტორ დოლიძის სახელობის ახალგაზრდა ვოკალისტთა კონკურსში, რომელიც საზეიმოდ გაიხსნა 1 ოქტომბერს. ქართველ მომღერლებთან ერთად ამ კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ ბაქოელი, ასტრახანელი და ლენინგრადელი ვოკალისტები. კონკურსი სამ ტურად ჩატარდება.

●

თბილისის კინოს სახლში გაიხსნა გერმანული ფილმების მინიფესტივალი. სტუმრებმა საარბრიუკენის კინო-ფესტივალზე გამარჯვებული 7 ფილმი ჩამოიტანეს. პროგრამაში, გარდა ძირითადი ნაწილისა, შეტანილია სტუმართა ჩასვლა ქუთაისში, ამასთან, შეირჩევა გერმანიაში საჩვენებელი ფილმებიც.

●

6 ოქტომბერს, 11 საათზე, თბილისში, საზოგადოება „ცოდნის" სააქტო დარბაზში (კოსტავას ქ. № 49). ჩატარდება საზოგადოება „ლეჩხუმის" დამფუძნებელი ყრილობა.

●

როგორც საქინფორმმა გვაცნობა, გაიმართა საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც ქალაქკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან გაანთავისუფლა პეტრე ბერაია. ცნობაში, ბუნებრივია, არაფერი თქმულა რატომ, რისთვის განთავისუფლდა ბატონი პეტრე — იმ დარღვევებისათვის ხომ არა, რაზეც არაერთხელ წერდა ჩვენი გაზეთი. ამ კითხვაზე რედაქციას, იმედია, პასუხს არ დაუგვიანებს ფოთის პარტიის ქალაქკომის ახალი პირველი მდივანი გერონტი კუხალეიშვილი.

●

აბაშაში რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით, ქალაქის პირველი საშუალო სკოლა ამიერიდან იქნება სკოლა-გიმნაზია.

●

სრულიად საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება „სავანეთას" ახალი წევრი შეემატა. ესაა ტყიბულის ზონაში შექმნილი „ოქროების საძმო", რომელმაც ამ დღეებში მოაწყო ქალაქის ფსიქიატრიული და ქალაქის საავადმყოფოების კურთხევა. შემდეგ კი სავანეთელები ესტუმრნენ გეგუთის შრომა-გასწორების კოლონიას, სადაც საჩუქრად ჩაიტანეს წიგნები, ხატები, მედიკამენტები.

●

გასულ პარასკევს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალგაზრდა იურისტმა მარიამ ცაცანაშვილმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. ერთი შეხედვით, განსაკუთრებული ამ ფაქტში არაფერია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ დისერტანტმა პირველად წარმოადგინა ქართულ ენაზე დაბეჭდილი რეფერატი. როგორც თბილისის უნივერსიტეტის სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, ასეთი რამ ბოლო ხანებში პირველად მოხდა. ადრე უნივერსიტეტში ყველა რეფერატი რუსულ ენაზე იბეჭდებოდა. სიმბოლურია ის ფაქტიც, რომ დისერტანტის საკვალიფიკაციო ნაშრომი ეხებოდა საქართველოს ფაქტობრივი ანექსიისა და ოკუპაციის საკითხებს. სწორედ იმას, რის გამოც წლების მანძილზე უპირველეს ეროვნულ უნივერსიტეტში რეფერატები რუსულ ენაზე იწერებოდა.

●

მოსკოვში, კულტურის ცენტრ „მზიურში" გაიხსნა სსრკ-ში ამერიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მეუღლის რებეკა მეტლოკის ფოტონამუშევრების გამოფენა. „საქართველო ჩემს გულშია" — ასე ჰქვია მეტლოკის გამოფენის ფოტოექსპოზიციას, რომლის ძირითადი ნაწილი მან საქართველოში ყოფნისას გადაიღო.

●

თბილისში, გამომცემლობა „მერანის" საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ფრანგული წიგნის ექსპოზიცია, წარმოდგენილია საფრანგეთში ცნობილი გამომცემლობის „ლარუს ნატანის" გრიფით დასტამბული წიგნები — სულ 400-ზე მეტი ექსპონატი.

●

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე ტელეფონით ესაუბრა ყაზახეთისა და უზბეკეთის პრეზიდენტებს ნ. ნაზარბაევს და ი. კარიმოვს. საქმე ეხებოდა ეკონომიკური თანამშრომლობის, უწინარეს ყოვლისა, საქართველოში მარცვლეულის, ბამბის მიწოდების ხელშეკრულებათა დადების კონკრეტულ საკითხებს. სამი რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა ამის თაობაზე საჭირო დავალებები მისცეს შესაბამის ორგანიზაციებსა და სამსახურებს.

●

5 ოქტომბერს თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის სიმფონიური მუსიკის დარბაზში (დ. აღმაშენებლის გამზ. 125) გაიმართება ახალგაზრდა ქართველი დირიჟორის გიორგი ჟორდანიას დებიუტი, იგი ცოტა ხნის წინათ დაბრუნდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან. მისი ხელმძღვანელობით საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრი შეასრულებს დვორჟაკის სიმფონიას № 9 („ახალი სამყაროდან"), ვებერის უვერტიურას ოპერისათვის „ლაღი მსროლელი", ამერიკელი პიანისტის ვიდა ზუპონჩიჩის თანხლებით კი — პროკოფიევის მესამე საფორტეპიანო კონცერტს.

წერილს გიორგი ჟორდანიას შესახებ ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როგორც იტყვიან,

# ერმა განსაჯოს

სულ ახლახან შეიქმნა და გარკვეული წინააღმდეგობის გადალახვის შემდეგ არჩევნებში მონაწილეობის უფლებაც მიიღო „საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირმა“. ამან საზოგადოების არაერთმნიშვნელოვანი რეაქცია გამოიწვია. ზოგი თუ ტაშის გრიალით მიესალმა ახალი საზოგადოების მოულოდნელ გამოჩენას საქართველოს პოლიტიკური თეატრის სცენაზე, ზოგმაც ის კომპარტიის პოზიციების გამტკიცების მორიგ შეფარულ ფანდად მიიჩნია. ასე რომ, აქ სიტყვა **არაერთმნიშვნელოვანი** ნიუანსთა მრავალფეროვან ასპექტს შეიცავს. ამის ერთ-ერთი გამოხატულება იყო ჩვენი გაზეთის 25 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული ჟურნალისტ ირაკლი გოცირიძის სტატია „ღმერთო, დაგვინთე სიბრძნის სანთელი!..“ ცხადია, პასუხმაც არ დააგვიანა და ჩვენც ოპერატიულად ვაქვეყნებთ მას. მაგრამ, შესაძლოა ბევრმა კიდევაც იცის, რომ გარკვეული მიზეზით — სტამბაში მასალების აწყობის არსებული გრაფიკის დარღვევის გამო, 25 სექტემბრის ნომერი ნაცვლად 430 ათასისა, დაიბეჭდა და გავრცელდა მხოლოდ 100 ათასი, ესე იგი 330 ათასით ნაკლები და, ცხადია, მას ჩვენს მკითხველთა უმრავლესობა ვერ გაეცნო (რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, იმ დღეს მარტო ჩვენი გაზეთი არ დაზარალებულა.). ამასთან, იმასაც ვითვალისწინებთ, რომ ერთ სტატიაზე პრაქტიკულად ორი პასუხი არსებობს — 2 ოქტომბრის გაზეთმა „კომუნისტმა“ ოპერატიულად გამოაქვეყნა კავშირის თავმჯდომარის ბატონ ვალერიან ადვაძის საპასუხო სტატია „მტკივნეული ეჭვების შესახებ“. ახალგაზრდულმა გაზეთმა კი პასუხი კავშირის გამგეობის მდივნის ბატონ თეიმურაზ კოპალეიშვილის ხელმოწერით მიიღო. ყოველივე ამის გათვალისწინებით და ობიექტურობის დაცვის აუცილებლობის გამო, აქვე განმეორებით გთავაზობთ ირაკლი გოცირიძის სტატიას. ბოლომდე რომ ვიყოთ ობიექტურნი, უნდა ისიც ვთქვათ, რომ ამის მომხრე იყო თვით ბატონი ვალერიან ადვაძე.

# ღმერთო, დაგვინთე სიბრძნის სანთელი!..

**მოხდა** ამბავი, რომელსაც უპრეცედენტოს ვერ დაარქმევ, რადგან ასეთი რამ ახლო წარსულში არავის გაუკვირდებოდა, ნორმად ითვლებოდა. ამიტომ, მით უფრო შემაშფოთებელია იგი დღეს.

როგორც ჩვენმა საზოგადოებრიობამ იცის, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში არ გაატარა თერთმეტი პარტია იმ ორმოციდან, რომლებმაც პრეტენზია განაცხადეს არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე. ცალ-ცალკე ყოველი პარტიის მიმართ უარი კომისიამ იურიდიულად დაასაბუთა და პრესაშიც გამოაქვეყნა. მაგრამ გავიდა ორი დღე და გაზეთებში დაიბეჭდა საქინფორმის ცნობა, რომ საქართველოს უმაღლესმა სასამართლომ დაარღვია ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება — არჩევნების კანონის მიხედვით უმაღლეს სასამართლოს აქვს კომისიის გადაწყვეტილების დარღვევის უფლება — და დასახელებული პარტიებიდან ექვსს უფლება მისცა, მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში (დანარჩენები თავად ჩამოშორდნენ არჩევნებს).

თითქოს ყველაფერი ნათელი და კანონიერია.

მაგრამ საქმე ასე არ არის.

თუ დაკვირვებით წავიკითხავთ საქინფორმის ინფორმაციას, იგი ასე იწყება: „როგორც უმაღლესი სასამართლოდან **გვაცნობეს!**“ როგორც ვხედავთ, სააგენტო ტელეფონით მიღებულ ცნობას დაყრდნობია (!), რამაც ხელი შეუწყო საქართველოს 5,5-მილიონიანი მოსახლეობის დეზინფორმაციას. შემთხვევით მოხდა ეს დეზინფორმაცია, თუ?... თუმცა, უმჯობესია ყველაფერი ქრონოლოგიურად მოვყვეთ, თანაც, სწორედ იმ პარტიის მაგალითზე, რომელიც მთელ ამ ამბავში მთავარ როლს ასრულებს. ეს გახლავთ „საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი“.

ეს ორგანიზაცია, როგორც ვიცით, ზუსტად ორი დღით ადრე დაფუძნდა იმ ვადამდე, არჩევნებში მონაწილე პარტიების რეგისტრაცია რომ უნდა დამთავრებულიყო — 29 აგვისტოს, ოპერის თეატრში. მეორე დღესვე — 30 აგვისტოს — კავშირის ხელმძღვანელობამ რეგისტრაციაში გატარებისათვის მიმართა რესპუბლიკის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. კომისიამაც ასევე დაუყოვნებლივ განიხილა საჩივარი და მუხლეუ-რად წინა დღით დაბადებულ პოლიტიკურ ორგანიზაციას უარი უთხრა არჩევნებში მონაწილეობის უფლებაზე.

მართლაც, სხვა იურიდიულ მოტივებს რომ თავი დავანებოთ, განა ლოგიკური არ არის, არ ვენდოთ ადამიანთა ისეთ ჯგუფს, რომლის მრწამსი, მოქმედების მიმართულება, უმაღლესი თუ ზნეობრივ-მორალური პრინციპები ჯერჯერობით გაურკვეველია მოსახლეობისათვის? ჯანსაღი განსჯა მოითხოვს, დალოდოდე, გამოამჟღავნოს თავისი თავი პრაქტიკაში ახლად შექმნილმა კავშირმა და ამის შემდეგ განაცხადოს პრეტენზია რესპუბლიკის მართვის უფლებაზე, ან მართვაში მონაწილეობაზე.

მიიღო თუ არა უარი კავშირმა, მისი ახლად არჩეული თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს წევრი ბატონი ვ. ადვაძე და მასთან ერთად რამდენიმე პირი, დაუყოვნებლივ ეახლნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სკკპ პოლიტბიუროს წევრს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ბატონ გ. გუმბარიძეს მის რეზიდენციაში. რა ლაპარაკი გაიმართა ამ შეხვედრისას მე, რა თქმა უნდა, არ ვიცი, მაგრამ ამ ფაქტმა მყისვე გამახსენა ბ-ნ ადვაძის სიტყვები მისი მოხსენებიდან, 29 აგვისტოს ოპერის თეატრში რომ გააკეთა. მან თქვა: „არის ცილისწამება, თითქოს ჩვენი ორგანიზაცია ინსპირირებული იყოს ოფიციალური ხელისუფლების მიერ... მაგრამ აქ ჩვენთვის დევიზად უნდა იყოს დიდებული ფლორენციელის სიტყვები: „იარე შენი გზით და, დაე, ადამიანებმა რაც უნდა ის თქვან“.

ვითომ მართებულია ადამიანთა ფიქრებისა და ეჭვების ასეთი უგულებელყოფა? ეგებ სჯობს, თუკი ამის შესაძლებლობა გაქვს, თანამემამულეებს გაუქარწყლო ეს მტკივნეული ეჭვები და დაუმტკიცო, რომ ეს ასე არ არის! მაგრამ პოზიცია „ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო“, როგორც ბევრ შემთხვევაში ვხედავთ, დღესაც გამოყენებაშია. ასეა თუ ისე, უმაღლესმა სასამართლომ უმალვე გააუქმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის უარი და აღნიშნულ ორგანიზაციას მიანიჭა არჩევნებში მონაწილეობის უფლება. მიანიჭა, მაგრამ დოკუმენტი არ შექმნა (თუ ვერ შექმნა?). ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც საარჩევნო კომისიამ მიიღო სასამართლოდან ერთი კვირის დაგვიანებით, გახლავთ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ბატონ ა. კარანაძის ხელმოწერით გამოგზავნილი დეპეშა: „ექვს პარტიას ნება დაერთოთ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში“. რომელ პარტიებს? რა მოტივით? რის საფუძველზე? — ამ კითხვებზე არავის არავითარი პასუხი არ გაუცია.

განა 9 აპრილამდეც ასეთი მეთოდები არ გამოიყენებოდა?!

თუმცა, გავაგრძელოთ. ამ საჩივრის განხილვაში მონაწილეობდა რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე ბატონი რ. გილიგაშვილი. მოხდა კაზუსი: იმის მაგივრად, რომ პროკურორს იურიდიული პოზიციებიდან გაებათილებინა საარჩევნო კომისიის უარი, ის ადგა და მოსარჩელეს მოთხოვნის „კანონიერება“ იმით „დაამტკიცა“, რომ ამ კავშირში, როგორც მან თქვა, „ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები არიან გაერთიანებულნი და პოლიტიკური თვალსაზრისით მათი ყოფნა მომავალ პარლამენტში უდიდეს სარგებლობას მოიტანსო“. სასამართლო გადაწყვეტილებების მიღებისას რომ ასეთი ლაპარაკი არ შეიძლება, ეს იურიდიული ანბანია — სასამართლოში უნდა მეფობდეს არა პოლიტიკა და ემოცია, არამედ ფაქტი და მყარი იურიდიული მოტივაცია! — მაგრამ აქ მე სხვა რამეს მინდა ხაზი გავუსვა.

რატომ არის ზოგიერთი ინსტანცია დაინტერესებული, რომ ასე სახელდახელოდ შექმნილ ორგანიზაციას მონაწილეობა მიაღებინოს პარლამენტის არჩევნებში? და მეორე კითხვა: რატომ გამოიწვია ამ კავშირის შექმნამ ესოდენ უარყოფითი მღელვარება ჩვენს დედაქალაქში?

სათქმელია, მაგრამ ამ ორ სხვადასხვა კითხვაზე ერთი საერთო პასუხის გაცემა შეიძლება:

— იმიტომ, რომ ამ კავშირში მნიშვნელოვანწილად ინტელიგენციის ის წარმომადგენლები აქტიურობენ, რომლებიც მუდამ უჭერდნენ მხარს არსებულ უმაღლეს ინსტანციას, ვისი სახითაც არ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ეს ინსტანცია. მჟავანაძის დროს, შევარდნაძის დროს, პატიაშვილის დროს ეს „ინტელიგენტები“ მუდამ, „პირველ კაცს“ შესციცინებდნენ თვალებში და ისინიც სათანადოდ ასაჩუქრებდნენ ამათ: ზოგს თანამდებობით, ზოგს პრემიით, ზოგს წოდებით, ზოგს ბინით, ზოგს რა პრივილეგიით და ზოგს რით. ჰოდა, ეს „ინტელიგენტები“ ახლაც სულ ზემოთ იცქირებიან, ოღონდ — ჩუმ-ჩუმად, და იმ განსხვავებით, რომ ხალხისა და ოპოზიციის ყასაგონად ჩახუჩუჩებულ ეროვნულ-პატრიოტულ სიტყვებს წარმოთქვამენ. ეგებ ჩამოვთვალო იმ მწერლების, რეჟისორების, მსახიობების, რედაქტორების, თავმჯდომარეების თუ დირექტორების გვარები, რომელთა გამოსვლითაც ამ კავშირს ავტორიტეტი შეელახა? თუმცა, **ამჯერად** ალბათ არ არის საჭირო დასახელება, რადგან მათ ყველანი ვიცნობთ. ერთს კი ვკითხავ: ნუთუ ისინი საკუთარ თავთან მაინც არ გრძნობენ უხერხულობას, ყველა მთავრობის სამსახურში რომ „კაი ყმის“ სახელს ეტანებიან!

ამ საკითხთან დაკავშირებით ერთი წერილი, უფრო სწორედ, წერილის ფრაგმენტი მინდა წავაკითხოთ — იგი გუშინწინ გადმომცა მისმა ავტორმა:

„გულახდილად გეტყვით, ჩემთვის თავზარდამცემი აღმოჩნდა „საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის“ გამგეობის საქციელი, როცა ისინი არ დაიჯერეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრების შეურაცხყოფა, (როცა საარჩევნო კომისიამ უარი უთხრა რეგისტრაციაზე — ი. გ.) და გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ განცხადებაში თავიანთი პრინციპების „გამაგრება“ კანონის ტექსტის შეგნებული დამახინჯებით მოინდომეს — ჩაამატეს სასვენი ნიშანი. ეს პატივსაცემი ხალხი, რომელიც თავის თავს ქართველი ინტელიგენციის ფლაგმანს უწოდებს, თუ ამას კადრულობს, სხვისგან რის უნდა ველოდოთ?.. საერთოდ კი აშკარაა, რომ ელიტარული სამართალი, რომელსაც სატელეფონო სამართალსაც უწოდებენ, კიდევ კარგა ხანს იარსებებს და კიდევ ბევრჯერ მოიყვანს სასოწარკვეთილებამდე სიმართლისა და სამართლის მძებნელ ე. წ. უბრალო ადამიანებს, რამეთუ მათ ხელი არ მიუწვდებათ იმ ტელეფონებამდე, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ჩვენში მართლმსაჯულება“.

იცით ვისი დაწერილია ეს წერილი? სრულიად ახალგაზრდა, ყმაწვილი კაცის, თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტის, რომელიც ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრია და მთელი ეს პერიპეტიები ამ კავშირის დაფუძნებიდან დღემდე პირადად გადაიტანა და უაღრესად მტკივნეულად განიცადა. მისი გვარია დათო უსუფაშვილი.

შესაძლოა, გადაჭარბებულ ემოციად ჩამითვალოს ვინმემ ამის თქმა, მაგრამ მე რომ ამ კავშირის წევრი ვიყო, ამ ჭეშმარიტად სუფთა, ჭეშმარიტად პატიოსანი, ჭეშმარიტად პროფესიონალი ყმაწვილის ასეთი სიტყვების მერე, ამ კავშირიდან გამოვიდოდი!

ახლა იმაზე უნდა ვთქვა, რამაც მართლაც რომ გამაოგნა.

გასულ პარასკევს, 14 სექტემბერს, „კომუნისტში“ ბატონ ვ. ადვაძის ორი პუბლიკაცია წავიკითხე — ერთი ძველი, გასული წლის 11 აპრილს დაწერილი, მეორე—ახალი, იმ ძველის კომენტარის სახით. ქართველი დეპუტატი წერს: „9 აპრილის ტრაგედია სხვადასხვა რანგის კომისიებმა გამოიკვლიეს, ბევრიც დაიწერა, იყო კამათი და ურთიერთბრალდებები. პასუხი ჯერ კიდევ ბევრ კითხვაზე არ გაცემულა. **იყო თუ არა ტრაგედია მხოლოდ ხელისუფალთა და არმიის მოქმედების შედეგი** (ხაზი ჩემია — ი. გ.), თუ მასში მონაწილეობდნენ დღემდე ჩრდილში მყოფი პირებიც, რომლებიც საიდუმლო სცენარში ნებსით თუ უნებლიეთ გარკვეულ როლს ასრულებდნენ. ერთი სიტყვით, 9 აპრილის ტრაგედია დღესაც სრულიად არ არის შესწავლილი“.

ბევრმა იცის, რომ 9 აპრილის ტრაგედიის მექანიზმში მე მეტნაკლებად ჩახედული ვარ. ამიტომ ბ-ნ ადვაძის ეს სიტყვები, უფრო სწორედ — მისი პოზიცია, ჩემთვის გასაკვირია. **9 აპრილის ტრაგედია სწორედ რომ „მხოლოდ ხელისუფალთა და არმიის მოქმედების შედეგია“.** ეს ხელისუფალნი არიან: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი ბიურო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცკ-ის მაშინდელი პოლიტბიურო, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ღლევანდელი ხელმძღვანელობა და საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს ასევე ღლევანდელი ხელმძღვანელობა, რომელთა დავალებით დამსჯელ სამხედრო აქციას ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მაშინდელი სარდალი როდიონოვი.

ამ უდავო ფაქტისგან განსხვავებული პოზიცია ხალხში უდავოდ დეზინფორმაციას გამოიწვევს, მითუმეტეს, რომ სწორედ ასე ლაპარაკობენ დღეს მოსკოვის ზედა ეშელონებში, აი, ამის დამადასტურებელი ახალი ფაქტი:

ამ წლის დასაწყისში, თებერვალში, მე მომმართა გენერალურმა პროკურატურამ — წერილი სახლში მაქვს — რათა გამეგზავნა მისთვის ჩემი მასალები, თუ ვის რაში ვადანაშაულებდი 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით. მე გამეცინა — მივხვდი, რომ ეს ფორმალური „დემოკრატიულობა“ იყო: განა შეიძლება მოსკოვმა მართლა დასაჯოს 9 აპრილის ხოცვა-ჟლეტის მომწყობი ყველა დამნაშავე? მასალები მაინც გავგზავნე. საშველი რომ აღარ დაადგა გამოძიების დამთავრებას, ამ ორი კვირის წინ მე თვით მივედი პროკურატურაში: რატომ არ მთავრდება, მეთქი, გამოძიება, რატომ არ აძლევთ პასუხისგებაში დამნაშავეებს? — ვკითხე გენერალური პროკურორის თანაშემწეს ა. შკრებეცს, რომლის ჯგუფისთვისაც „9 აპრილის საქმე“ გადაუციათ გამოსაძიებლად. ჯერ ბევრი რამ არის კიდევ გამოსარკვევიო, მიპასუხა, უნდა დავადგინოთ რა მონაწილეობა აქვთ მიღებული ადამიანთა დალუპვაში თქვენს არაფორმალებსო, მათ ლიდერებსო, უნდა დავაზუსტოთ, ვინ შემოიტანა და მოაფრქვია თბილისის ქუჩებში მომწამლავი ქიმიური ნივთიერებებიო, გარდა ამისა, ექსპერტიზას ვატარებთ იმის დასადგენად, თუ რის გამო და ვის გამო დაიხოცა მთავრობის სახლის წინ ხალხიო.

ეს ხომ ალსაშფოთებელია!

შარშან დეკემბერში სსრკ დეპუტატთა ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება: „დაიგმოს ძალადობის გამოყენება თბილისში დემონსტრანტთა წინააღმდეგ“. მე ვსვამ კითხვას: რაში გამოიხატება ეს დაგმობა — მხოლოდ ლიტონ, პროპაგანდისტულ განცხადებაში? თითქმის წელიწადი გავიდა ამ „დაგმობიდან“, მაგრამ ვინმემ აგო პასუხი ადამიანთა გაჟლეტისათვის? პირიქით, სამხედრო პროკურატურა ცდილობს, როგორმე გაანეიტრალოს ხელისუფალთა და სამხედროთა — მათ შორის შინაგან საქმეთა ჯარების — დანაშაული. ამიტომ ჩვენი ვალია — მათ შორის, ალბათ, პირველ რიგში ქართველი დეპუტატების — არა მარტო წინ აღვუდგეთ ასეთ მცდელობას, არამედ იმას მივაღწიოთ, რომ დამნაშავენი დასაჯონ. მე ამით შურისძიებისაკენ კი არ მოვუწოდებ, მე მოვუწოდებ სიმართლის, სამართლისა და მონანიებისაკენ, რადგანაც ამ სამი სტიმულის გარეშე არც ერთ ერს, არც ერთ საზოგადოებას, არ შეუძლია ცივილიზებულ დონეზე დადგეს.

— ერთად ვიყოთ, გავერთიანდეთ, ერის კონსოლიდაციაა საჭირო! — ვეუბნებით ერთმანეთს. ეს ხომ ლიტონი სიტყვებია, როცა ვხედავთ, რომ ბევრ მათგანს, ვინც თანხმობისაკენ მოგვიწოდებს, თავისი საკუთარი, „წყალწაღებული“ მიზნები ამოძრავებს. ამიტომ ვერ ხდება თანხმობა. არადა წინ ულელტეხილს მივადექით: პირველ ეროვნულ პარლამენტს ვირჩევთ.

— ღმერთო, დაგვინთე სიბრძნის წმინდა სანთელი საქართველოში!

და კიდევ ერთი განძი გვიბოძე ყველას უკლებლივ: მყარი ზნეობა!

მხოლოდ ეს არის საფუძველი ჩვენი მომავლის...

**ირაკლი გოცირიძე,**
**ჟურნალისტი.**

# „ბუკვალურად!“

## ანუ ვის დავალებას ასრულებთ, ბატონო ირაკლი გოცირიძე

**საგაზეთო** პასკვილზე პასუხის გასაცემად ნამდვილად არ მცალია, მაგრამ ბატონ ირაკლი გოცირიძის პუბლიკაციის „ღმერთო, დაგვინთე სიბრძნის სანთელი!...“ „ახალგაზრდა ივერიელი“ № 104, 25 სექტემბერი, 1990 წ.) უპასუხოდ დატოვება არ შეიძლება.

რამდენიმე დღის წინ, მე, როგორც საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის გამგეობის მდივანს, დამირეკა ბატონმა ირაკლი გოცირიძემ და მთხოვა მესაუბრა მასთან ჩვენი კავშირის შესახებ.

ამ საუბრამდე მე ირაკლი გოცირიძესთან პირადი ნაცნობობა არ მაკავშირებდა. ვიცნობდი მხოლოდ 9 აპრილის ამბებთან დაკავშირებულ მისი „ჟურნალისტური გამოძიების“ საკითხებისადმი მიძღვნილ პუბლიკაციებს და რაც მათში წავიკითხე, მაშინ სრული ჭეშმარიტება მეგონა.

ჩვენი კავშირის განსაქიქებელი პასკვილის ტექსტის გაცნობამ ნათელი გახადა ჩემთვის ი. გოცირიძის პუბლიცისტური ხერხი — სასურველი რეალობად ცვასაღოს. ამიტომ მე დღეს სრული საფუძველი მაქვს ეჭვი შევიტანო აღნიშნულ პუბლიკაციებში მის მიერ მოკვლეული მასალების ჭეშმარიტებაშიც.

ეხლა პირდაპირ საქმეზე. რითაა შეწუხებული ბ-ნი ი. გოცირიძე? როგორც ირკვევა, ის აღშფოთებულია საქართველოს ეროვნული თანხმობის და აღორძინების კავშირის დაფუძნების თვით ფაქტით და ამისათვის გვლანძღავს უმოწყალოდ.

აღშფოთება პირადი გრძნობაა და მასზე ყველას, მათ შორის ბატონ ი. გოცირიძესაც, აქვს ინდივიდუალური უფლება. თუმცა ის მარტო ამ უფლებას არ სჯერდება: მას სურს, რომ მასთან ერთად აღშფოთდეს ყველა, და ამ მიზნით ის წერს ტყუილებით სავსე პასკვილს, რომელიც ნამდვილად უწყობს ხელს „საქართველოს 5,5 მილიონიანი მოსახლეობის დეზინფორმაციას“. მტკიცებები? ინებეთ:

ი. გოცირიძე ცრუობს, როცა წერს, რომ უმაღლესმა სასამართლომ თითქოს განიხილა მხოლოდ ექვსი პოლიტიკური ორგანიზაციის საჩივარი ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მათი რეგისტრაციაში გაუტარებლობის შესახებ, ხოლო „დანარჩენები თავად ჩამოშორდნენ არჩევნებს“. სინამდვილეში კი „თავად“ მხოლოდ სამი პარტია „ჩამოშორდა არჩევნებს“, ორის მიმართ კი სასამართლომ მათ მიმართ ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება მართებულად ცნო. ეს თითქოს უწყინარი ტყუილი ბატონ ი. გოცირიძეს მხოლოდ იმისათვის დასჭირდა, რომ გაეძლიერებინა თავისი წინასწარ აკვიატებული აზრი უმაღლესი სასამართლოს არაობიექტურობის შესახებ.

ი. გოცირიძე შეგნებულად ატყუილებს მკითხველს, როდესაც ამბობს — „ცალ-ცალკე ყოველი პარტიის მიმართ უარი კომისიამ იურიდიულად დაასაბუთა და პრესაშიც გამოაქვეყნა“-ო. სხვა პარტიების შესახებ მე ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ ჩვენი კავშირის მიმართ უარი კომისიამ რომ იურიდიულად საერთოდ არ დაასაბუთა, ეს ბატონ ი. გოცირიძეს კარგად მოეხსენება.

ვინაიდან ჩვენი რეგისტრაციის საკითხმა ასე აალელვა ბ-ნი ი. გოცირიძე და ზოგიერთი სხვა „დაინტერესებული“ პირიც, უფრო დაწვრილებით შევჩერდებით მასზე.

შევეცდებით ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და ზუსტად, ბოდიში „ბუკვალურად“ (ბ-ნი ი. გოცირიძის ენათმეცნიერული მიგნება რომ ვიხმაროთ), ავსახოთ ჩვენი კავშირის რეგისტრაციის პერიპეტიები ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა თუ სასამართლოში. 31 აგვისტოს საღამოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომაზე იხილებოდა ჩვენი კავშირის რეგისტრაციის საკითხი. კომისიაზე მოგვცეს რამოდენიმე შეკითხვა, რომლებზედაც, ჩვენი აზრით, დამაჯერებელი პასუხები გავეცით.

ყოველ შემთხვევაში, კომისიის წევრებს არ უთქვამთ, რომ მართლები არ ხართო. დაახლოებით 40 წუთიანი დახურული მსჯელობის შემდეგ კომისიამ გამოგვიცხადა: „სამწუხაროდ თქვენმა კავშირმა ვერ მოაგროვა ხმების სათანადო რაოდენობაო“. ჩვენ მაშინვე მოვითხოვეთ მოტივაცია, რაზედაც ასეთი პასუხი მივიღეთ: ჩვენ დღეს ამისათვის მზად არ ვართ, ხვალ 2 საათზე მობრძანდით და მოგცემთ წერილობით დოკუმენტს, სადაც იქნება მოტანილი დასაბუთებაო.

მეორე დღეს კომისიისაგან მივიღეთ ასეთი შინაარსის დოკუმენტი: „უარი ეთქვას რეგისტრაციაში გატარებაზე „საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირს“ ვინაიდან მისი საქმიანობა არ შეესაბამება არჩევნების კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნას“. ბატონ „ჟურნალისტ-გამომძიებლისაგან“ განსხვავებით, ჩვენ ამ დოკუმენტში ვერ დავინახეთ ვერავითარი იურიდიული დასაბუთება (კომისიას ასეთივე წარმატებით შეეძლო დაეწერა, რომ კავშირის საქმიანობა არ შეესაბამება „საქართველოს კონსტიტუციას“, „მოქმედ კანონებს“, „საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს“ და ა. შ.) და მაშინვე მოვითხოვეთ მოტივაცია. კომისიამ გვიპასუხა: „მოტივაცია ჩვენ ამოსაკრები გვაქვს ოქმიდან და ორშაბათამდე ამას ვერ გავაკეთებთო“. ორი დღის შემდეგ ჩვენ წარვადგინეთ სარჩელი უმაღლეს სასამართლოში. ბ-ნი ი. გოცირიძისაგან განსხვავებით ცენტრალურმა კომისიამაც, როგორც კი გაეცნო უმაღლეს სასამართლოში ჩვენს მიერ წარდგენილ სარჩელს, დაინახა მის მიერ გაცემულ დოკუმენტში ჩვენი კავშირისთვის რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური დაუსაბუთებლობა და ჩვენს მიერ სარჩელის წარდგენიდან ორი დღის შემდეგ გაზეთში გამოაქვეყნა უარის თქმის კონკრეტული მოტივაცია, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავდა და აკონკრეტებდა კომისიის მიერ კავშირისადმი წამოყენებულ პრეტენზიას. მაგრამ სასამართლო პროცესზე ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი და კომისიის წარმომადგენელი თვით პროცესზე შეეცადა გაეფართოებინა ჩვენი კავშირისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის მოტივაცია, ე. ი. მან, კომისიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, ბ-ნ ი. გოცირიძისაგან განსხვავებით, ფაქტიურად არასაკმარისად ცნო კომისიის დასაბუთება. როდესაც ჩვენ ის ვამხილეთ ამ არასამართლებრივ საქციელში, ასე განაცხადა: „გაზეთში მოყვანილი მოტივაცია საიდან გაჩნდა მე არ ვიცი. ვამტკიცებ, რომ კომისიის სხდომაზე ამ საკითხზე იყო მსჯელობა და ეს ოქმშია დაფიქსირებულიო“. ხომ კარგი „იურიდიული დასაბუთებაა?“.

იურიდიულ საქმეებში ჩახედულ ადამიანს (მკითხველს ვეუბნები, თორემ ბატონ ი. გოცირიძეს კი არ ვგულისხმობ) ალბათ მოეხსენება, რომ ჩვენ სრულიად თავისუფლად შეგვეძლო არ მიგვეღო დამატებითი მოტივაცია და საერთოდ არ გვეპასუხა მასზე, მაგრამ ჩვენ ეს არ გავაკეთეთ, თავი არ ავარიდეთ მოტივაციის ახალ მუხლს.

ვნახოთ, როგორია ეს მოტივი. მოპასუხემ ბრალდებად წამოგვიყენა ის, რომ ჩვენი კავშირის წესდება უშვებს კავშირში სხვა პოლიტიკური ორგანიზაციების წევრთა გაერთიანებას, რასაც მისი აზრით კრძალავს არჩევნების კანონი. ჩვენს კითხვაზე „გაატარა თუ არა კომისიამ რეგისტრაციაში სხვა პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც წესდებით ასევე უშვებს თავის რიგებში სხვა პარტიების წევრებს“, მოპასუხემ, ვფიქრობთ არაგულწრფელად, განაცხადა, რომ მისთვის ასეთი ფაქტი ცნობილი არ არის. მაშინ ჩვენ სასამართლოს მივაწოდეთ ცნობა იმის შესახებ, რომ ასეთ ფაქტებს ადგილი ქონდა კომისიის მუშაობაში და ალბათ ამიტომაც არ შეიტანა ეს მოტივაცია ჩვენს მიმართ კომისიამ თავის გადაწყვეტილებაში. მისი მოხმობა მოპასუხეს სასამართლო პროცესზე, მხოლოდ იმისათვის დასჭირდა, რომ შეატყო, კომისიის მიერ ოფიციალურად წამოყენებული მოტივაცია კრიტიკას ვერ უძლებდა. ალბათ ყოველივე ეს მიიღო მხედველობაში სასამართლომ, როდესაც ჩვენს საკითხზე ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანა: „კომისიის დადგენილება ზოგადი და დაუსაბუთებელია, რის შედეგადაც კავშირს ისე ეთქვა უარი რეგისტრაციაზე, რომ ფაქტობრივად არ არის განსაზღვრული ამ უარის კონკრეტული საფუძველი, რაც თავის მხრივ შეუძლებელს ხდის ამ დადგენილების კანონიერად ცნობას“.

ასეთია საქმის ნამდვილი ვითარება. თუმცა, რა თავს ვიკლავ. ბ-ნმა ი. გოცირიძემ ხომ ეს ყველაფერი ძალიან კარგად იცის. მე ხომ მას პირადად გავაცანი ყველაფერი? უფრო მეტიც, ისიც კი ვუთხარი, თუ გაინტერესებთ მთელი სასამართლო პროცესის ვიდეოჩანაწერს მოგართმევთ-თქო. (სასამართლოს შესაძლო არაობიექტურობა, კომისიის არაობიექტურობით დასჯილებს, ჩვენც გვაფიქრებდა და მთელი სასამართლო პროცესი ვიდეოფირზე აღვბეჭდეთ). მაგრამ მან ეს არ ისურვა. რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ ამ შემთხვევაში ძნელი იქნებოდა მისთვის სასურველ, წინასწარ აკვიატებულ დასკვნებზე გასვლა? ვის სჭირდება ასეთი დასკვნები? ჩვენც გვიჩნდება რაღაც ეჭვები.

„ჟურნალისტ-გამომძიებელმა“ ისიც არ ისურვა ჩემთან საუბრის შესახებ ეცნობებინა მკითხველისათვის. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ მაშინ იძულებული იქნებოდა ჩვენი საუბრის თუნდაც პატარა ფრაგმენტი მაინც მოეტანა წერილში. მაგრამ მაშინ ხომ დაირღვეოდა მისი პასკვილის მთელი ქარგა. ალბათ აქაც შეიძლებოდა გამოსავლის მოძებნა, მაგალითად დაემახინჯებინა ჩემი ნათქვამი (ალბათ ამასაც იკადრებდა), მაგრამ მე მოვთხოვე, ჩემი ნათქვამი გამოქვეყნებამდე აუცილებლად ეჩვენებინა ჩემთვის. მოკლედ, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა და თავიდან მომიცილა — თითქოს მე საერთოდ არ მიცნობს, არ ვუნახივარ, უბრალოდ არ ვარსებობ.

ახლა, ბ-ნი ი. გოცირიძის ნებართვით, მკითხველს ზოგიერთი სხვა რამეც უნდა ვუამბო. კერძოდ ის, რომ მას მე პირადად გავაცანი ის დოკუმენტი, რომლითაც კომისიამ უარი გვითხრა არჩევნებზე და შისმა სწორედ დაუსაბუთებულობამ ისიც კი ძლიერ გააოცა. მან ეს გაოცება ჩემთან სრულიად ცალსახად გამოხატა (თუ არ თამაშობდა). ისიც უნდა ვაუწყო მკითხველს, რომ არჩევნების კანონის მე-8 მუხლი პირველად მის ცხოვრებაში ჩემთან ერთად წაიკითხა და გაოცება კომისიის გადაწყვეტილების შესახებ კიდევ უფრო მკაფიოდ გამოხატა. არც იმას დავმალავ, რომ ამ შეხვედრაზე მან მე დამისვა კითხვა თუ რა როლი შეასრულა ბატონმა გ. გუმბარიძემ სასამართლოს მიერ ჩვენი კავშირის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში. როდესაც ამ შეკითხვამ უკვე ჩემი გაოცება გამოიწვია, იგი შემეკითხა, განა თქვენ არ იყავით გ. გუმბარიძესთან? საკვირველია, განა მან არ იცის, რომ პოლიტბიუროს წევრებთან ჩემისთანა უბრალო მოკვდავი ასე თავისუფლად ვერ მივიდოდა? ბ-ნმა ი. გოცირიძემ გამოსავალი მაინც გამონახა — ასეთი შეხვედრა ბატონ ვ. ადვაძეს და „მასთან ერთად რამდენიმე პირს“ დააბრალა. „რა ლაპარაკი გაიმართა ამ შეხვედრისას მე, რა თქმა უნდა არ ვიცი, მაგრამ... „მივიდეს და ამტკიცოს რომ... ადამიანი აქლემი არ არის. ასეთი მტკიცება რომ ძნელი საქმეა, ეს კი ბ-ნმა ირაკლიმ კარგად იცის, მაგრამ ეს ხომ ულირსი საქციელია. მინდა მას ვკითხო, პასკვილის დასასრულს, ღმერთს რომ სთხოვს, „განძი გვიბოძე ყველას უკლებლივ: მყარი ზნეობა“, იმ ყველაში თვით არ შედის? თუმცა, ალბათ ყველა იმას ნატრობს, რაც აკლია. მესმის მისი.

რადგანაც ზნეობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, აქაც მინდა მკითხველმა ყველაფერი სრულად იცოდეს. ჩემი აზრით, უზნეობაა. როდესაც სხვას უკიჟინებ ამას რად აკეთებო, როდესაც თვითონ უფრო უარესს სჩადიხარ. ამიტომ უზნეობად მიმაჩნია ბ-ნი ი. გოცირიძის გაოცება, როგორ დაეყრდნო საქინფორმი ტელეფონით მიღებულ ცნობასო, იმ დროს, როცა თვითონ ისე აკრიტიკებს სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომ ეს გადაწყვეტილება თვალით არ უნახავს, არ გაცნობილა სასამართლოს ოქმს. ვერც გაეცნობოდა გასაგები მიზეზების გამო.

ასევე უზნეობად მიმაჩნია ბ-ნი ი. გოცირიძისაგან იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ საარჩევნო კომისიამ სასამართლოდან მხოლოდ ერთადერთი დოკუმენტი, ბატონ ა. კარანაძის ხელმოწერილი დეპეშა მიიღო და არ თქმა იმისა თუ რატომ ვერ შეძლო სასამართლომ დროზე მიეწვდინა კომისიისათვის გადაწყვეტილებები, არ თქმა იმისა, თუ რატომ დასჭირდა ბატონ ა. კარანაძეს დეპეშის გაგზავნა კომისიაში. რა, არ იცის? თუ ეხლა ისიც „შესციცინებს თვალებში“ ზოგზოგებს? უნდა თუ არ უნდა, მაინც უზნეო საქციელი გამოსდის ბ-ნ ირაკლის.

ის ბედუკუღმართი სასვენი ნიშანი, რომლის გამოც ორჯერ შემოგვიტიეს რესპუბლიკურ პრესაში, ბ-ნ ირაკლის პასკვილშიც სათანადო ადგილზეა გამოჭიმული. ბ-ნი ი. გოცირიძე თუ დაძაბავს მეხსიერებას, მე მასზეც სრული განმარტება მივეცი. ჩემით წამოვჭერი ეს საკითხი და დოკუმენტურად დავუდასტურე, რომ იქ ტექსტის შეგნებულ დამახინჯებას კი არა, კორექტურულ შეცდომას ჰქონდა ადგილი. მკითხველს მინდა განვუმარტო, რომ ამ ფაქტს ადასტურებს ჩვენს მიერ უმაღლეს სასამართლოში წარდგენილი სარჩელის ტექსტი, სადაც „მძიმე“ თავის ადგილზე ზის, მაგრამ სადაო საკითხის არსს ეს არ ცვლის. ჩვენ ვდაობდით საარჩევნო კანონის მხოლოდ იმ პუნქტის სწორ ინტერპრეტაციაზე, სადაც ვინაიდან სიტყვები „პარტიები“ და „ისინი“ მრავლობით რიცხვშია ნახმარი, მხოლოდ ყველა პარტიის რეგისტრაციის შემდეგ უნდა მომხდარიყო მათ მიერ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წევრების დანიშვნა და არა მანამდე, როგორც ეს მოხდა ფაქტობრივად, რამაც გამოიწვია ცალკეული პარტიების არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება. თუ გაახსენებს ბ-ნი ირაკლი, მე ეს ყველაფერი მას ავუხსენი. და თუ გაიხსენებს, მაშინ ვთხოვთ გვიპასუხოს, არის თუ არა უზნეობა, როცა ეს ყველაფერი იცის და მაინც პრესაში გვიკიჟინებს „შეგნებულად დაამახინჯეთ ტექსტიო“. ბ-მა ი. გოცირიძემ არა მარტო გამომძიებლის, ჩვენს საკითხთან დაკავშირებით მოსამართლის ფუნქციაც იკისრა. მაგრამ ბოლშევიკური სასამართლოც კი უსმენდა ორივე მხარეს, მას რაღა დაემართა? შეიძლება ისევ ბოლშევიკურად მართალს არ დაეთანხმო, მაგრამ საერთოდ არ მოუსმინო? ამიტომაა მისი საქციელი უზნეო.

უზნეობაა, როდესაც მთელი ერის სასახელო პიროვნებების მიმართ ნახმარ სიტყვა ინტელიგენტს ბ-ნ ირაკლი ბრჭყალებში სვამს, მათ მოღვაწეობას მჟავანაძის, შევარდნაძის, პატიაშვილის დროთი განსაზღვრავს და დროს პატიაშვილზე წყვეტს. რა, მის შემდეგ „პირველი კაცი“ არ გვყავს? თუ „თვალებში შესციცინებს“ და ერიდება სხვისი ხსენება? უზნეობის მწვერვალია, როცა ამ ხალხის ძალისხმევას „წყალქვეშა მიზნებად“ წარმოადგენს და საჯაროდ ემუქრება ამჯერად არ დაგასახელებთო.

ეხლა კი იმის შესახებ, თუ რატომ დაიწერა ი. გოცირიძის პასკვილი. რა მიზანს ისახავს იგი? რომ ვთქვათ ჭეშმარიტების დადგენასო, ალბათ, თვით მასაც შერცხვება. არც პოლიტიკური მოძრაობით ყოფილა ადრე დაინტერესებული. ასზე მეტი პარტიაა შექმნილი რესპუბლიკაში, ზოგ მათგანს შორის შეურიგებელი კონფრონტაციაცაა, მაგრამ მისი მაღალი ყურადღების ღირსნი არ გამხდარან ჯერ. მაშ ჩვენ რითი მივიპყარით მისი ყურადღება? ალბათ არაფრით. უბრალოდ, ბ-ნ ირაკლი ვიღაცის დავალებას ასრულებს, ვიღაცის ბრმა იარაღია. ვისი?

მოდით ერთად ვიფიქროთ, იქნებ მივაგნოთ.

აშკარაა, რომ ი. გოცირიძის პასკვილის პრაქტიკული შედეგი საარჩევნო კამპანიის უკიდურესი გამწვავება უნდა იყოს. გამწვავება, რომელმაც ზოგიერთი პოლიტიკურად უმწიფარი პარტიის ან პიროვნების რადიკალური აქციის ინსპირირება უნდა მოახდინოს. შედეგი? მათ მიმართ სხვა პარტიების და პიროვნებების დაპირისპირება და... ალბათ არჩევნების ჩაშლა. ძალიან ხომ არ ემთხვევა ი. გოცირიძის პასკვილის მიზნები მსოფლიოს ბოლო იმპერიის ციტადელის ინტერესებს?

ყველაფერი თეთრი ძაფით არის ნაკერი, ბატონო ჟურნალისტ-გამომძიებელო. თუ თქვენც ფიქრობთ, რომ სწორად მივიხვდით, დაფიქრდით, ვის დავალებას ასრულებთ, ბატონო ირაკლი, „ბუკვალურად“!

**თეიმურაზ კობალეიშვილი,**

**საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის გამგეობის მდივანი.**

**1. 10. 1990 წ.**

**P. S.** ეს წერილი მზად გვქონდა, როდესაც გავიგეთ, რომ ი. გოცირიძეს დეპუტატობა მოუნდომებია. შეუგროვებია კიდეც კანდიდატად წამოსაყენებლად ამომრჩეველთა საჭირო ხელმოწერები, მაგრამ კანონის უცოდინარობის გამო, დროზე არ წარუდგენია ისინი საოლქო კომისიაში. შემდეგ, ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის უთხოვია „ჩემთვის კანონი დაარღვიეთ და როგორც გამონაკლისი გამატარეთ რეგისტრაციაშიო“.

კომისია მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და თავიდან აგვაცილა „ჟურნალისტ-გამომძიებლის“ ახალი ამბლუა.

**თ. კ.**

# სამხედრო-პოლიტიკური კრიზისი ახლო აღმოსავლეთში

**ერაყის მიერ ქუვეითის დაპყრობამ, ომის მუქარამ სპარსეთის ყურის რეგიონში, აგრეთვე აშშ-სა და სხვა ქვეყნების ჯარების ხანგრძლივმა კონცენტრაციამ საფუძვლიანად შეცვალა ვითარება და დაძაბა ურთიერთობა არაბულ აღმოსავლეთში. ამით აიხსნება ის, რომ საუდის არაბეთი დათანხმდა კონფლიქტში ამერიკის ჩარევას და მოულოდნელად სსრკ-სთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას, რაზედაც წლების მანძილზე იგი უარს ამბობდა.**

**პოლიტიკური მეტამორფოზა — ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი აშშ-სა და სირიის სამხედრო ძალების კოორდინირება ერაყ-საუდის არაბეთის ტერიტორიაზე, ერაყის მოულოდნელი „შერიგება“ ირანთან, სადაც თანდათან დაიძაბა წინააღმდეგობა „პრაგმატიკოსებსა“ და ბაღდადის მიერ გამოცხადებული ჯიჰადის მომხრე „ფუნდამენტალისტებს“ შორის — სამართლიან გაოცებას იწვევს.**

**წინამდებარე წერილის ავტორი თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის აზია-აფრიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის გამგე ალბერტ მენთეშაშვილი კონფლიქტის მონაწილე ქვეყნების ისტორიული წარსულის განხილვის საფუძველზე ცდილობს გაარკვიოს მკითხველი შექმნილ ვითარებაში.**




**ერაყი (ერაყის რესპუბლიკა) დასავლეთი აზიის არაბული სახელმწიფოა. სამხრეთით იგი ესაზღვრება ქუვეითსა და საუდის არაბეთს, დასავლეთით — იორდანიასა და სირიას, აღმოსავლეთით — ირანს, ხოლო ჩრდილოეთით — თურქეთს. მისი ტერიტორია 438.446 კვ. მ-ია, მოსახლეობა — 17 მილიონი. აქედან 75% — არაბია, 20% — ქურთი, დანარჩენი — თურქი, თურქმენი, ასურელი, სომეხი და სხვა. მოსახლეობის 94% ისლამს აღიარებს, მუსლიმებს შორის 54% — შიიტია, 46% — სუნიტი; ოფიციალური ენებია არაბული და ქურთული (ქურთების ავტონომიურ ოლქში), დედაქალაქი — ბაღდადი, 4 მილიონი მცხოვრებით.**

**ქუვეითი (კონსტიტუციური მონარქია) მდებარეობს არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილში, ესაზღვრება ერაყსა და საუდის არაბეთს. ტერიტორია — 17,8 ათასი (სხვა მონაცემებით — 20,2 ათასი) კვ. კმ. მოსახლეობა — 2 მილიონი. მათგან 90% არაბია, აქედან მხოლოდ 40%-ია ადგილობრივი წარმოშობისა, დანარჩენი სხვადასხვა არაბული ქვეყნის წარმომადგენელია. ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს პალესტინელები შეადგენენ (800 ათასი). სახელმწიფო რელიგიაა ისლამი, ოფიციალური ენა — არაბული, დედაქალაქი — ელ-ქუვეითი — 1,5 მილიონი მცხოვრებით.**

### ცოტა რამ ისტორიიდან

თუ არაბეთის ნახევარკუნძული არაბული ცივილიზაციის უძველესი კერაა, სადაც ჩაისახა და განვითარდა არაბული ენა და მდიდარი არაბული ლიტერატურა, თავისებური არქიტექტურა და ბოლოს — ისლამი, მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი არაბული ტომების განსახლების ყველაზე უძველესი ადგილია. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე II ათასწლეულში ეს ტომები გავრცელდნენ მთელს არაბეთის ნახევარკუნძულზე და მოახდინეს მისი მცირერიცხოვანი არაბული მოსახლეობის ასიმილაცია.

ამავე პერიოდში არაბები დასახლდნენ დღევანდელი ქუვეითის ტერიტორიაზე. მათი დიდი ნაწილი — მომთაბარე მესაქონლეები (ბედუინები) ადგილმონაცვლეობდნენ უდაბნოში, ხოლო სანაპიროზე მცხოვრებნი — მიწათმოქმედებასა და თევზჭერას მისდევდნენ. ამ დროს აქ გაბატონებული იყო პირველყოფილი თემური წყობილება. I ათასწლეულის დასაწყისამდე არაბებთან ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო მატრიარქატის გადმონაშთები. აღსანიშნავია, რომ ტომთა გაერთიანების სათავეში ქალიც იდგა. ასურულმა წყაროებმა შემოგვინახეს ცნობა იმის შესახებ, რომ ჩვ. წელთაღრიცხვამდე არაბთა დედოფალმა სასიემ გაუგზავნა უხვი საჩუქრები ასურელთა მეფეს სარგონ II-ს.

სახმელეთო და საზღვაო გზების გზაჯვარედინზე მდებარეობა ხელს უწყობდა ქუვეითს, რომ შეესრულებინა აქტიური როლი ვაჭრობაში, ერთმანეთთან დაეკავშირებინა არაბეთის სამხრეთი და ჩრდილოეთი. ძველი ქუვეითელები გამბედავი მეზღვაურები იყვნენ, ომანელ მეზღვაურებთან ერთად, ისინი, ევროპელებზე გაცილებით ადრე გადავიდნენ კაბოტაჟური ნაოსნობიდან, ხანგრძლივ ოკეანურ ნაოსნობაზე, რომლის დროსაც აღწევდნენ ინდოეთის სანაპიროებამდე.

ძველ დროში ქუვეითელებმა განიცადეს ასურეთის და ბაბილონის მეფეების, აგრეთვე ალექსანდრე მაკედონელის ამაოხრებელი ლაშქრობანი. ისლამის აღმოცენებისა და არაბთა სახალიფოს შექმნის შემდეგ არაბეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ტერიტორია მის შემადგენლობაში შედის, ხოლო თურქ-[illegible] ოსმალთა დაპყრობების შემდეგ ქუვეითი, ისევე როგორც მისი ჩრდილოეთი მეზობელი ერაყი, ოსმალეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი ხდება 1756 წ. საბაჰთა საგვარეულოს წარმომადგენელი დამკვიდრდა ქალაქ ქუვეითში, დაიმორჩილა გარშემო მდებარე დასახლებანი და საფუძველი ჩაუყარა ქუვეითის საამიროს. XVIII საუკუნის ბოლოს თურქებმა განამტკიცეს თავიანთი ბატონობა ქუვეითზე და იგი ოსმალეთის იმპერიის ერთ-ერთ განაპირა პროვინციის მაზრად გადააქციეს. მას შემდეგ, რაც XIX საუკუნის შუა ხანში ინგლისელებმა საბოლოოდ დაიპყრეს და დაიმორჩილეს ინდოეთი, მათი ინტერესი ქუვეითისადმი, ისევე როგორც სპარსეთის ყურის სანაპიროზე მდებარე ქვეყნებისადმი, კიდევ უფრო გაიზარდა. ინდოეთის დაცვის საბაბით 1889 წელს ინგლისელებმა თავს მოახვიეს ქუვეითს ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ქუვეითი, ფაქტობრივად, დიდი ბრიტანეთის პროტექტორატად გადააქციეს. 1913 წელს დიდმა ბრიტანეთმა თურქეთთან დადო სპეციალური შეთანხმება, რომლის თანახმად ქუვეითი ცნეს ოსმალეთის იმპერიის შემადგენელ ავტონომიურ ოლქად, რომელსაც უნდა ჰქონოდა საკუთარი დროშა. ერთი წლის შემდეგ ინგლისმა ისარგებლა მსოფლიო ომის დაწყებით და ქუვეითი გამოაცხადა ბრიტანეთის მეურვეობის ქვეშ მყოფ დამოუკიდებელ სამთავროდ. 30-იანი წლების დასაწყისში ქუვეითში სასმელი წყლის ძებნის დროს აღმოაჩინეს ნავთობი. საფუძვლიანი გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქვეყანა შეიცავს ნავთობის საკმაოდ დიდ მარაგს. „ინგლის-ირანის ნავთობის კომპანიისა“ და ამერიკულ „გალფ ოილ კომპანი“-ს ხელშეწყობით შეიქმნა „ქუვეით ოილ კომპანი“, რომელსაც ქვეყნის მაშინდელი მმართველის შეიხ აჰმადისაგან კონცესიის სახით მიიღო ქუვეითის თითქმის მთელი ტერიტორია. ახლად შექმნილ კომპანიასთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ბრიტანეთის ფინანსური წრეების წარმომადგენლები, რაც ინგლისელებს საშუალებას აძლევდა მოეხდინათ ზემოქმედება ქუვეითის მთავრობის პოლიტიკურ და ეკონომიკურ საქმიანობაზე. ამ დროისათვის ქვეყნის მოსახლეობა, ისევე როგორც ძველ დროში ძირითადად დაკავებული იყო საზღვაო გადაზიდვით, მარგალიტების მოპოვებითა და მესაქონლეობით. 50-იან წლებში ნავთობის მოპოვება-გასაღებით მიღებულმა შემოსავალმა ქუვეითის მთავრობას საშუალება მისცა დაეწყო წყლის გამტკნარებისათვის საჭირო ნაგებობების მშენებლობა. ასეთი დანადგარები ქვეყანას, ერაყის მიერ ქუვეითის ოკუპაციამდე, წელიწადში 100 მილიარდ ლიტრა წყალს აწვდიდა. ქუვეითს ეკავა პირველი ადგილი მსოფლიოში სარწყავი დანადგარების სიმძლავრის მხრივ (200 მილ. ლიტ. წყალი დღეღამეში). წყლით მომარაგების პრობლემების გადაწყვეტამ ქუვეითს საშუალება მისცა განევითარებინა სოფლის მეურნეობა.

მეორე მსოფლიო ომის მიწურულს ქუვეითი არაბეთის ნახევარკუნძულის ტიპიურ ზღვისპირა საამიროს წარმოადგენდა, არც თუ ისე მრავალრიცხოვანი მოსახლეობით (100 000 კაცი) და განუვითარებელი ეკონომიკით. მოსახლეობის უმრავლესობის ტრადიციულ საქმიანობად რჩებოდა ზღვის სარეწები, მომთაბარე მესაქონლეობა, ოაზისური სოფლის მეურნეობა, სატრანზიტო ვაჭრობა და ხელოსნობის ზოგიერთი სახე. ქვეყნის მოსახლეობის 80-90% წერა-კითხვის უცოდინარი იყო. მეორე მსოფლიო ომში ანტიფაშისტური ძალების გამარჯვებამ მძლავრი ბიძგი მისცა აზიაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებას. მას შემდეგ, რაც დიდი ბრიტანეთის კოლონიურ იმპერიას მისი მთავარი საყრდენი — ინდოეთი გამოეცალა (იგი დამოუკიდებელი გახდა 1950 წლის იანვარში), საბოლოოდ შეირყა ამ იმპერიის სიძლიერე. ამას დაემთხვა ინგლისის ფინანსურ-ეკონომიკური ძლიერების შესუსტება და ბრძოლის გამწვავება აშშ-თან ახლო აღმოსავლეთის ნავთობისათვის. იზრდებოდა, აგრეთვე, კონკურენცია დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და იაპონიის მხრიდან, რომლებიც სულ უფრო დაჟინებით მოიწევდნენ ქუვეითისაკენ, ცდილობდნენ მიეღოთ კონცესიები. ამერიკის შეერთებული შტატების ნავთობის კომპანიები თანდათან ავიწროებდნენ ინგლისისას. 1951 წ. ქუვეითის მთავრობამ, სხვა ნავთობმომპოვებელი ქვეყნების ბრძოლის ზეგავლენით, მოითხოვა უფრო სამართლიანად გაენაწილებინათ ქვეყნის ტერიტორიაზე მოპოვებული ნავთობისაგან მიღებული მოგება და საამისოდ გადაესინჯათ არსებული საკონცესიო შეთანხმებანი „ქუვეით ოილ კომპანი-სთან“ ამიერიდან ქუვეითი უქმო კომპანიებისაგან მიიღებდა მოგებათა 50%-ს, მაგრამ 1952 წლის ივლისში ეგვიპტეში პროინგლისური მონარქიული რეჟიმის დამხობის, 1956 წლის ოქტომბერ-ნოემბერში სუეცის ავანტიურის ჩაფუშვის და განსაკუთრებით 1958 წლის ივლისში მეზობელ ერაყის სამეფოში ანტიმონარქიული რევოლუციის გამარჯვებისა და რესპუბლიკის გამოცხადების ზეგავლენით, ქუვეითში სულ უფრო იზრდებოდა ეროვნული თვითშეგნება და მისი დაპირისპირება ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების მტაცებლური ძარცვისა და პოლიტიკური ბატონობის კოლონიური ფორმების წინააღმდეგ.

### თავისუფლების წლები

მზარდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირობებში ინგლისმა 1961 წლის 19 ივნისს გამოაცხადა ქუვეითის დამოუკიდებლობა, ხოლო 22 ივნისს ქუვეითმა ითხოვა, მიეღოთ იგი არაბული სახელმწიფოების ლიგაში (ა. ს. ლ). თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ სწორედ ამ დროს საკითხი ქუვეითის დამოუკიდებლობის შესახებ გადაიზარდა მწვავე პოლიტიკურ კრიზისში, დაიწყო იგი 1961 წ. 25 ივნისს, ერაყის რესპუბლიკის მაშინდელი პრემიერ-მინისტრის აბდალ ქერიმ ყასემის საჯარო განცხადების შემდეგ. ყასემმა განაცხადა, რომ ქუვეითი არის ერაყის განუყოფელი ნაწილი და რომ იგი ვარაუდობს უახლოეს დროში ქუვეითის მმართველი დანიშნოს „ბასრის პროვინციის ქუვეითის რაიონის გუბერნატორად“. ინგლისელმა კოლონიზატორებმა ეს განცხადება მაშინვე ხელზე დაიხვიეს და შეაჩერეს ბრიტანეთის ჯარისკაცებისა და სამხრეთ-საზღვაო გემების გაყვანა ქუვეითის ტერიტორიიდან. სპარსეთის ყურესა და ინდოეთის ოკეანეში მყოფმა ინგლისის ფლოტებმა მიიღეს ბრძანება ყოფილიყვნენ მზადყოფნაში, რათა აღმოეჩინათ დახმარება ქუვეითისათვის. როგორც ვხედავთ, ერაყის პრეტენზია ქუვეითის ტერიტორიის მიერთებაზე ახალი არ არის. შექმნილ ვითარებაში ქუვეითის მმართველმა აბდალა ას-საბაჰმა ინგლისის მთავრობას მიმართა თხოვნით, რათა მას აღმოეჩინა სამხედრო დახმარება. ინგლისელებმა ქუვეითში გადასხეს 6 ათასი ოფიცერი და ჯარისკაცი. რეგიონული სადავო საკითხი თანდათან საერთაშორისო კონფლიქტის სახეს ღებულობდა. საქმეში ჩაერია არაბულ სახელმწიფოთა ლიგა (ასლ) და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. მაშინ კონფლიქტი დამთავრდა იმით, რომ ქუვეითის მთავრობის თხოვნით ინგლისელებმა თავიანთი ჯარები გამოიყვანეს, ხოლო მათ მაგივრად ქვეყანაში განლაგდნენ ასლ-ს შეიარაღებული ძალები. ისინი აქ იმყოფებოდნენ 1963 წლის თებერვლამდე, ე. ი. იქამდე, სანამ ერაყში არ დაამხეს ყასემის დიქტატურა და არ შეიქმნა პირობები ერაყსა და ქუვეითს შორის ნორმალური ურთიერთობის დასამყარებლად. 1963 წ. ოქტომბერში ქუვეითმა 25 წლის ვადით მისცა სესხი ერაყს 30 მლნ. გირვანქა სტერლინგის ოდენობით.

ისრაელის 1967 წლის აგრესიი და არაბეთ-ისრაელის 1973 წლის ომის პერიოდში ქუვეითმა აქტიურად დაუჭირა მხარი „ნავთობის ბოიკოტს“, რომელიც მიმართული იყო აშშ და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა წინააღმდეგ. ერთდროულად მაშინ ფასები ნავთობზე არაბულმა სახელმწიფოებმა თითქმის 4-ჯერ გაზარდეს.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ჰქონდა პალესტინელთა ემიგრაციას ქუვეითში და სხვა არაბულ სახელმწიფოებში 1948 წ. (არაბეთ-ისრაელის პირველი ომი), 1956 (ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ) და 1967 წლის ისრაელის აგრესიის შემდეგ. პალესტინელმა ლტოლვილებმა თან მოიტანეს სოციალური და ეროვნული პროტესტისა და პოლიტიკური აქტივობის მძაფრი მუხტი. პალესტინელთა თემის განწყობილება წარმოადგენდა და წარმოადგენს ფაქტორს, რომელიც დღემდე ახდენდა უდიდეს ზეგავლენას ქუვეითის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყობილებასა და ცხოვრების წესზე, მის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე.

70-იანი წლების ბოლოს ქუვეითი გამოვიდა დასავლეთის ქვეყნების და, პირველ რიგში, აშშ ეკონომიკური და პოლიტიკური ზემოქმედების წინააღმდეგ. ამ დროს აშშ მიისწრაფოდა სპარსეთის ყურის სანაპიროზე მდებარე არაბული ქვეყნების მილიტარიზაციისაკენ, 1979 წ. ქუვეითმა უარყო ომანის სულთანის მიერ შემოთავაზებული პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა დასავლეთის ქვეყნების მონაწილეობით უშიშროების უზრუნველყოფას სპარსეთის ყურის რეგიონში. ქუვეითს მაშინ მიაჩნდა, რომ ეს პროექტი უზრუნველყოფდა არაბული საზურველით ამერიკის სამხედრო ძალების ყოფნას მსოფლიოს ამ ნაწილში.

ქუვეითის მთავრობა ყოველთვის აცხადებდა, რომ უშიშროების და სტაბილურობის უზრუნველყოფა სპარსეთის ყურეში უნდა ევალებოდეთ მხოლოდ ამ რეგიონის სახელმწიფოებს და არა სხვას. არც თუ დიდი ხნის წინ ქუვეითის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა: „ჩვენ კარგად გვესმის, რომ უცხოური ფლოტები ჩვენს სანაპიროსთან ტურისტული მიზნით კი არ არიან მოსული, არამედ ელოდებიან საბაბს ჩვენს საშინაო საქმეებში ჩასარევად. ჩვენ ეს არ უნდა დავუშვათ“.

მას შემდეგ, რაც 1963 წელს ქუვეითში შეიქმნა საკონსულტაციო კომიტეტი, რომელსაც ევალებოდა ქუვეითის კაპიტალების ინვესტირება საზღვარგარეთ, იგი თანდათან გადაიქცა რეგიონალურ საფინანსო-საკრედიტო ცენტრად. არაბული ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისათვის დიდი როლი ენიჭებოდა, აგრეთვე, ქუვეითის ფონდის შექმნას. თავისი ეროვნული შემოსავლის 8-დან 10%-მდე ქუვეითი გამოყოფდა განვითარებული ქვეყნების ფინანსური დახმარებისათვის. 1967 წლის აგრესიის მსხვერპლი ქვეყნების (ეგვიპტე და იორდანია) დასახმარებლად ყოველწლიურად ქუვეითი გამოყოფდა 55 მილიონ ინგლისურ გირვანქა სტერლინგს. 1978 წლიდან ბაღდადის კონფერენციის გადაწყვეტილების შესაბამისად ქუვეიტი ყოველწლიურად სირიის, იორდანიის და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციისათვის გამოყოფდა 165 მილიონ ქუვეითურ დინარს. მას შემდეგ, რაც ერაყმა 1980 წელს დაიწყო ომი ირანთან, ქუვეითი ფინანსურ დახმარებას უწევდა ერაყსაც. მარტო საომარი მოქმედების პირველ სამ წელს ერაყმა ქუვეითისაგან სესხის სახით მიიღო 6 მილიარდი დოლარი. ფინანსური დონორის როლის შესრულება და მშვიდობისმოყვარული საგარეო-პოლიტიკური კურსის გატარება დაეხმარა ქუვეითს დაეკავებინა მყარი მდგომარეობა არაბულ სამყაროში. გარკვეული როლი შეასრულა ქუვეითმა სამხრეთ და ჩრდილოეთ იემენების შერიგების, ომანისა და იემენის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკებს შორის არსებული კონფლიქტის მოგვარების და ლიბანში არსებული დაძაბულობის შენელების საქმეში.

### ერაყის დაპყრობის შემდეგ

ერაყის მოულოდნელმა თავდასხმამ ქუვეითზე გამოიწვია პანიკა არა მარტო საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე, არამედ ვაშინგტონის, მოსკოვის და იერუსალიმის ხელისუფალთა შორისაც. ეს მოულოდნელობა შეიძლება აიხსნას იმ ცვლილებით, რომელიც მოხდა მსოფლიოში უკანასკნელ ხანს. ჯერ ხომ ერთი წელიც არ გასულა აღმოსავლეთ ევროპაში მომხდარი უსისხლო რევოლუციებიდან. მსოფლიო საზოგადოებრიობა ჯერ კიდევ იმყოფებოდა ამ მართლაც პოლიტიკური საოცრების გიპნოზის ქვეშ და დარწმუნებული იყო, რომ ამიერიდან ყოველგვარ აშკარა აგრესიას და ვანდალიზმს ბოლო მოეღებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთი იმედი ილუზიური იყო. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმას, თუ რამდენად ჩამორჩა არაბული სამყარო დროს. მაშინ, როდესაც — წერდა „ნიუ-იორკ ტაიმსი“ — ა. წ. 5 აგვისტოს აღმოსავლეთ ევროპაში რევოლუციური ცვლილებები მოხდა, ზოგან დიქტატორებიც კი დაამხეს, არაბული აღმოსავლეთი, რომელიც აღმოსავლეთ ევროპისაგან ხმელთაშუა ზღვითაა გამოყოფილი, კვლავინდებურად მოცულია ტომობრივი ომებით, ხოლო ამ რეგიონში შემავალ ქვეყნებს მართავენ ხელმძღვანელები, რომლებიც ხელისუფლების სათავეში ჯერ კიდევ 60-იან წლებში მოვიდნენ. გარდაქმნამ, საჯაროობამ, უსისხლო რევოლუციებმა და დემოკრატიულმა მოძრაობებმა ჯერჯერობით გვერდი აუარეს ამ რეგიონს. ისტორიამ არაბული სამყაროს კარებზე დააკაკუნა 1990 წელს, მაგრამ მას მხოლოდ სადამ ჰუსეინმა უპასუხა.

(გაგრძელება იქნება)

---

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ გივი გუმბარიძეს
## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ნოდარ ჭითანავას

### ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მშრომელთა კოლექტიური მიმართვა

**დღეს**, როცა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება ძალზე დაძაბულ, საპასუხისმგებლო სტადიაშია, როცა ერი და ბერი ქართველი კაცის სანუკვარი ოცნების განსახორციელებლად იბრძვის, ძნელია საკუთარი ინტერესების ვიწრო ნაჭუჭში ჩაიკეტო და არ გააანალიზო ყველაფერი ის, რაც რესპუბლიკაში დღესდღეობით ჩვენს ირგვლივ ხდება.

მაგრამ, არის მთელი რიგი საკითხები, რომლებიც, მიუხედავად პოლიტიკური ბრძოლის დაძაბულობისა, მწ[illegible] იჩენენ თავს ჩვენს ყოველ[illegible]ვაში.

მოგეხსენებათ, ათეული წლების მანძილზე ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა რესპუბლიკის ეკონომიკის გაძლიერების საქმეში. იგი იყო და დღესაც რჩება ქართული მეტალურგიის განვითარების ბაზად.

გასული წლიდან კი ელექტროენერგიის მწვავე დეფიციტმა პარალიზებული გახადა ქარხნის მუშაობა. გარდა იმისა, რომ გამორთული იქნა უმეტესი ძირითადი აგრეგატები, ნაწილი მოქმედი აგრეგატებისა მწყობრიდან გამოვიდა მოწოდებული დენის სიმძლავრის მუდმივი მერყეობის გამო.

გარდა ამისა, გართულდა ფინანსური მდგომარეობა, იზრდება მუშახელის დეფიციტი, დესტაბილიზირებულია მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, რაც მთავარია, საგრძნობლად დაეცა ქარხნის პრესტიჟი.

მიმდინარე წლის ზამთრის სეზონი რეალურად უქადის ქარხნის სიმძლავრეებს სრულ გაჩერებას. ეს კი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა 3400-კაციანი კოლექტივის გარდა, რაიონის მთელი ინფრასტრუქტურის (სამშენებლო-სარემონტო და სხვა სამუშაოები) მოშლას ნიშნავს, იქმნება უმუშევრების საშიშროება.

პროფესიონალი მეტალურგისათვის ნათელია, რომ 6 თვის განმავლობაში აგრეგატის გამორთვა ფაქტობრივად ქარხნის საბოლოო გაჩერების ტოლფასია. ბევრი რომ არა ვთქვათ, ჩვენის მხრივ ასეთ კომპრომისზე წასვლა მავნებლობად მიგვაჩნია, მითუმეტეს დღეს, როდესაც რეალური გახდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოწინავე ფირმებთან კავშირის დამყარება. რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მხრივ ასეთი რადიკალური ნაბიჯის გადადგმა არასწორად მიგვაჩნია.

მიუხედავად მრავალგზის განმარტებისა, ჩვენთვის გაუგებარია ელექტროენერგიის გადანაწილების არსებული სისტემა. რესპუბლიკის მოხმარების 10-15%-ით შეზღუდვის შემთხვევაში, რატომ უნდა გამოირთოს მთლიანად ჩვენი ქარხანა? ხომ შეიძლება საკითხის [illegible] რო უმტკივნეულოდ გადაჭრა, [illegible] ქარხანამ არსებობისათვის [illegible] ლებელი მინიმუმი, ნახევარი სიმძლავრე მაინც [illegible].

ვაანალიზებთ, რა [illegible] პოლიტიკურ სიტუაციაში, [illegible] ძაბულ წინასაარჩევნო პერიოდში მიუღებლად მიგვაჩნია კოლექტივის მიმართვის რაიმე საპროტესტო აქციას.

ამდენად, დაბეჯითებით გთხოვთ, პირადად დაინტერესდეთ ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხით და გამოძებნოთ ყველასათვის მისაღები, ოპტიმალური ვარიანტი.

**მიღებულია საქარხნო კონფერენციაზე.**

---

## განცხადება

ამა წლის 13 ოქტომბერს 13 საათზე მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ჩატარდება ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას სულის მოსახსენიებელი საეკლესიო პანაშვიდი და სამგლოვიარო მიტინგი.

**მერაბ კოსტავას პირადი ფონდის განმკარგულებელი კომისია.**

---

### ეროვნული გმირის ხსოვნას

## მერაბ კოსტავას გარდაცვალების წლისთავის გამო

მამულიშვილნო! 1989 წლის 13 ოქტომბერი უბედურების დღედ გაუთენდა საქართველოს. ეროვნული გმირის უეცარმა სიკვდილმა თავზარი დასცა დედასამშობლოს და ქართველმა ერმა კიდევ ერთხელ მთელი სიცხადით შეიგრძნო და დაინახა უდიდესი მნიშვნელობა იმ წმიდა ცეცხლისა და ღვთაებრივი ძალისა, რომლის მატარებელი და განსხეულება იყო თავად მერაბ კოსტავა.

როდესაც მისი ცხედარი მთაწმინდის მიწას მიაბარეს, ჩვენი მღელვარე ეპოქის დიდი შინაგანი მუსიკის ვერშემსმენმა მრავალმა უბირთაგანმა იკითხა — რა გააკეთაო მერაბ კოსტავამ ისეთი, მთაწმინდ[illegible]მაღლეზე რომ აიტანეს მის[illegible] ნეშტიო? ბევრს უკვირდა მისი დატირებისა და დაკრძალვის ჟამს მანამდე არნახული რაოდენობით მოზღვავება ხალხისა და ვინ იცის რამდენი გაბოროტებულის თვალი აივსო შურით მაშინ, როდესაც უკანასკნელი სამოცდაათი წლის მანძილზე ყველაზე დიდი სიმრავლით ერმა სწორედ მერაბ კოსტავას გაცილების დღეს მოიყარა თავი. ქართველი ხალხისთვის, მიუხედავად ყველაფრისა, უცხო არ ყოფილა დიდი პოეტის, სახელოვანი მწერლის, მეცნიერის, ხელოვანისა თუ საზოგადო მოღვაწის ფენომენი, მაგრამ უკანასკნელი სამოცდაათი წლის მანძილზე ვიდრე მერაბ კოსტავამდე, ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შემდგომ ქართველ ერს აღარ ჰქონია შეხება იმ მოვლენასთან, რასაც ეროვნული გმირი ჰქვია და ყველა გამორჩენილ პოეტზე, მწერალზე, მეცნიერზე და ხელოვანზე მეტად იმიტომ დაიტირა მერაბ კოსტავა ერმა, რომ გმირობაა ამ ქვეყანაზე კაცისთვის ყველაზე დიდი ტიტული და იმთავითვე გმირობას უმღეროდა და ეთაყვანებოდა ჭეშმარიტი პოეზია და ხელოვნება.

მერაბ კოსტავა იყო გმირი თავისი მოწამეობრივი ცხოვრებით, თავისი უკანდაუხეველი ბრძოლით, თავისი შემართებით, თავისი შესანიშნავი პოეზიით, სიმღერით, მჭევრმეტყველებით, თავისი განუმეორებელი კეთილშობილებითა და სისადავით, სისპეტაკითა და გულმოწყალებით, უშიშროებით, თავისი ლეგენდარული სიცოცხლითა და იდუმალებით მოსილი სიკვდილით, არ ვიცი მერაბ კოსტავა მოკვდა თუ მოკლეს, მაგრამ ის ფაქტია, რომ მისი ამქვეყნიდან წასვლა მძიმე და წარუშლელ იარად დააჩნდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხეულს. ეროვნული გმირის გარდაცვალების შემდგომ აიშვეს და გაინავარდეს უზნეო ძალებმა საქართველოში; შური, ურთიერთმტრობა და სიძულვილი, განხეთქილება, მლიქვნელობა, სიყალბე დაეპატრონა თავისუფლებისათვის ბრძოლის წმიდა ასპარეზს და მერაბ კოსტავას სახით აღარ არის ძალა უზნეობათა, უმსგავსოებათა და უკეთურებათა დამთრგუნველი.

1989 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს დედაქალაქში ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისა და წმიდა ილია მართლის საზოგადოების ინიციატივით დაიწყო გრანდიოზული ეროვნულ-პოლიტიკური მნიშვნელობის აქცია — ქართველი ახალგაზრდების მიერ რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის საოკუპაციო არმიაში სამსახურზე უარის თქმა. გავიდა დრო და ეს აქცია დიდი გამარჯვებით დაგვირგვინდა, სამხედრო გაწვევები ჩაიშალა და ქართველი ახალგაზრდების დიდმა უმრავლესობამ ბოიკოტი გამოუცხადა ეგრეთ წოდებულ საბჭოთა არმიას. 11 ოქტომბერს რუსთაველის მოედანზე ჩატარდა მრავალათასკაციანი მანიფესტაცია, რომელზეც სიტყვით გამოვიდა მერაბ კოსტავა: ეს იყო მისი უკანასკნელი საჯარო გამოსვლა, რომელიც მერაბ კოსტავამ შემდეგი სიტყვებით დაასრულა — ან გამარჯვება ან სიკვდილი! როგორც რაინდი უპირველესი პირველი ეკვეთა სიკვდილს და მისი მსახვრალი ბრჭყალები გაიზიარა, ხოლო გამარჯვება წილად ქართველ ერს დაუტოვა გმირული დიდებამოსილებით, ზეციურ საქართველოში ამაღლებულმა.

დაე უწყოდეს ქართველმა ერმა, რომ მხოლოდ მერაბ კოსტავასეული გმირული სიცოცხლითა და ბრძოლით მოიპოვებს და დაიმკვიდრებს იგი თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს!

**შაბათს, 12 საათზე, 1990 წლის 13 ოქტომბერს შოთა რუსთაველის მოედანზე კინოს სახლის წინ, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია ჩაატარებს სახალხო მანიფესტაციას მერაბ კოსტავას გარდაცვალების წლისთავთან დაკავშირებით!**

**ირაკლი წერეთელი**

---

## ყოფილ პოლიტ-პატიმრებს

**ჟურნალ-გაზეთებში** სისტემატიურად იბეჭდება მოთხოვნა: ყურადღება მიექცეს რეპრესირებულ, ცოცხლად გადარჩენილ ადამიანებს და დაღუპულთა მიუკვლეველი საფლავების აღმოჩენას, მონიშვნას და მათი დანატოვარი ნივთმტკიცებების შეგროვებას. მე და რამდენიმე პიროვნებამ გადავწყვიტეთ მივმართოთ რესპუბლიკის ყველა ყოფილ პოლიტპატიმარს თხოვნით, რათა გამოგვეხმაურონ აღნიშნულ განცხადებაზე, მოგვაწოდონ ცნობები თავიანთი პიროვნების შესახებ: გვარი, სახელი, მამის სახელი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, სისხლის სამართლის რომელი მუხლით იყავით დასჯილი, რამდენი წელი გქონდათ მისჯილი, მოიხადეთ სასჯელი მთლიანად თუ ნაწილობრივ და ახლანდელი პირობები.

აღნიშნული მასალების შეგროვების შემდეგ განზრახული გვაქვს ჩავატაროთ შეხვედრა, სადაც განხილული იქნება ყოფილ პოლიტპატიმართა ასოციაციის პროგრამა და წესდება, რის შემდეგაც არჩეული იქნება მისი პრეზიდიუმი.

განზრახულია, ჩამოყალიბდეს რეპრესიის შედეგად დაღუპულ პატიმართა ოჯახების სექცია, რომელიც მიაწვდის ასოციაციას დაღუპულ ოჯახის წევრთა ვინაობას, ნივთმტკიცებებს, რის შემდეგ მასალები გამოყენებული იქნება მოგონებების, ნარკვევების და თხზულებების შესადგენად.

**ცნობების გამოგზავნა შეიძლება შემდეგ მისამართზე: თბილისი, მაჩაბლის ქუჩა № 11, ყოფილი კომკავშირის ცეკას შენობა.**

**საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი პოლიო (პოლიევქტო) ბოგელია.**

**წევრები შალვა თავაძე და ედუარდ ხუნდაძე**

---

## რა ღირს თავისუფლება

**ამას წინათ** საინფორმაციო პროგრამა „ვრემია“ ხაზგასმით გადმოსცა პარიზში გამართული გერმანიის შეერთებასთან დაკავშირებული პრობლემებისადმი მიძღვნილი ექვსი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების პრესკონფერენციის ერთი ფრაგმენტი: სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრს ჰკითხეს, რამდენი მილიონი მარკა გადაუხადა საბჭოთა კავშირს გფრ-მ გდრ-ის შემოსაერთებლადო (ანუ რამდენად გაყიდა სსრკ-მ გდრ). მინისტრი, ჩვეულებრისამებრ, არ დაიბნა და ცივად უპასუხა „აბეზარ“ ჟურნალისტს, ისეთი ცნებებით, როგორიც ერთა თვითგამორკვევა და თავისუფლებაა, არ ვაჭრობენო. არ ვიცი, რამდენად გულწრფელი იყო ბატონი მინისტრი, ისე კი ნათქვამი უდავო ჭეშმარიტებაა. ერების სიცოცხლით, ისე როგორც თითოეული ადამიანის სიცოცხლით (თავისუფლება კი ერისა და ადამიანის სიცოცხლის უპირველესი გარანტიაა) არ ვაჭრობენ. ასეთ დროს ყიდვა-გაყიდვაზე ლაპარაკი, მეტი რომ არაფერი ვთქვათ, უზნეობაა, გაგიხარია ასეა, მაგრამ ქართველებს, ლიტველებს, ესტონელებს, სომხებს და სხვებს დაჟინებით რომ სთხოვენ ამდენი და ამდენი გადაგვიხადეთ, თანაც კონვერტირებადი ვალუტით, ცხრაპირ. ტყავს გაგაძრობთ და, თუ ჭკუით იქნებით, მერე ვნახოთო... როგორ გავიგოთ სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ წარმოთქმული ეს ჭეშმარიტება? ოთხმოცი მილიონი გერმანელისათვის ბოძებული თავისუფლება ფულით არ იზომება და ზნეობრივია, ხუთი მილიონი ქართველი დაბალი ლობე გვნახეთ, რომ მხოლოდ ვალუტით ვიყიდოთ ის, რაც ყველა ერის ხელშეუხებელი უფლებაა?!

ნეტავ იმაზე თუ უფიქრიათ საბჭოეთის ლიდერებს, ერების განადგურება რა ღირს და რით იზომება? უფიქრიათ და მერე როგორ! მარტო სსრკ-ში „შესვლა-გამოსვლის“ „კანონი“ (ტაშის გრიალში მიღებული) რად ღირს. კარგად დააკვირდით, სსრკ თხუთმეტი რესპუბლიკისაგან შედგება. ერთი თუ გავიდა, დარჩენილ თოთხმეტს უნდა გადაუხადოს „ზარალი“, თუ კიდევ გავიდა რომელიმე, მაშინ დარჩენილ ცამეტს და ა. შ. სანამ ბოლოს ორი რესპუბლიკა არ დარჩება. ამ დროს გვმართებს დიდი ყურადღება, რათა „სეპარატიზმის გზაზე მდგომი“ რესპუბლიკა სსრკ-დან ჩუმად არ გაგვეპაროს. როგორც კი დავაცდენინებთ გავდივარო, აი მაშინ უზარმაზარი ფულის პატრონები გავხდებით. კაციჭამია ვირთაგვა რომ გამოიყვანეს კასრში, სწორედ ისეა. ამ კანონების შემყურე ყველა რესპუბლიკა ბოლოსათვის შემოინახავს სსრკ-დან გასვლას და... საბოლოოდ აღარავინ არ გავაო, ასე ფიქრობენ საბჭოეთის ცენტრში. ხომ გახსოვთ „მგზავრის წერილები“ რა „გენიალურად“ გადაწყვიტა რუსმა ოფიცერმა შაქრის ქურდის პრობლემა, საშაქრეში ბუზები რომ დაამწყვდია. თუ დენშჩიკი შაქარს მოიპარავს, ბუზები გაფრინდებიანო.

ხალხთა დასამონებელი და თანაც სარფიანი თამაშია ფედერაციობანა. სსრკ-მ სამოცდაათი წელი ითამაშა ეს თამაში თავისი ნაირსახეობებით: საბჭ. — ფედერაცია, უნიტ.— ფედერაცია, ტოტ-ფედერაცია. ახლა ახალი თამაში (ვფიქრობ, ძალზე აზარტული) წამოიწყო: „კონ-ფედერაცია“ მართალია, სსრკ-ს ამ თამაშის წესები ჯერ ბოლომდე არ გაუმჟღავნებია, მაგრამ თამაშის დასაწყისი —ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება — მრავლისმთქმელია. პერსპექტიულ თამაშთა რიცხვს განეკუთვნება ნეოფედერაცია.

დღეს კრემლიდან ხშირად საყვედურობენ „დაუნახავ“ და „უმადურ“ რესპუბლიკებს რომ მათ რუსეთი გაძარცვეს, გაფცქვნეს და დღეს „მორჭმით“ ცხოვრობენ, საწყალი რუსეთი კი სულს ღაფავს. ეს აზრი რუსული მესიანისტური იდეიდან იღებს სათავეს და, რა თქმა უნდა, რეალობას არ შეესაბამება. მაგრამ ესეც რომ იყოს, ხომ შეიძლება კოლონია ან დომინიონი არანაკლებ ცხოვრობდეს, ვიდრე მეტროპოლია. არა მგონია, ავსტრალია ან კანადა თავის დროზე დიდ ბრიტანეთზე მშიერი ყოფილიყო. ერთი წუთით დავუშვათ, რომ სწორედ კრემლის პოლიტიკის წყალობით ვცხოვრობთ ჩვენ, ქართველები, უკეთ, ვიდრე თვითონ რუსეთი (ვისაც ჩვენი „კარგად“ ცხოვრება შეშურდეს...). თუ რუსეთმა საქართველოს დაპყრობის შემდეგ დამონებულ და გაძარცულ ქვეყანაში რაღაც კაპიტალი მართლაც დააბანდა და ახლა უკან მისტირის, ეს მის უგუნურებასა და წინდაუხედაობაზე მეტყველებს. „სძლიე სიხარბესა შენსაო“, არ შეისმინა რუსეთმა ეს მცნება და ახლა თავად იმკის საკუთარი გაუმაძღრობის ნაყოფს — რატომ არ ფიქრობდა, დეკოლონიზაციის მსოფლიო პროცესი მასაც რომ შეეხებოდა, ბალტიისპირეთიდან კამჩატკამდე რომ ჰქონდა იმპერიას.

ვერ გაამდიდრებს რუსეთს ეშმაკობით ნაშოვნი დასავლეთგერმანული მარკები, დოლარები და სტერლინგები. ამ გზით ნაშოვნმა ფულმა შეიძლება კუჭი გაუძღოს (ისიც დროებით), გამდიდრებით კი ვერ გაამდიდრებს. თავის დროზე ვერც ინგლისი და საფრანგეთი გაამდიდრეს კოლონიებმა.

ეს ყველაფერი კარგად მოეხსენება ბატონ საგარეო საქმეთა მინისტრს, მაგრამ „აბეზარი“ ჟურნალისტები ისეთ კითხვებს სვამენ ზოგჯერ, უხერხულ მდგომარეობაში აყენებენ მინისტრებს.

**ანდრო ტოროტაძე**

---

### საქართველოს რესპუბლიკის ყველა მსხვილ საწარმოს, კოოპერაციულ ორგანიზაციებს

საქართველოს სახალხო ფრონტის აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობა მოგმართავთ თხოვნით გამოიჩინოთ გულმოწყალეობა ქალაქ სოხუმში მცხოვრები ანემიის მძიმე ფორმით დაავადებული ორი წლისა და ოთხი თვის ასაკის ბავშვის გიორგი ჰედიას მიმართ.

კომპეტენტური სპეციალისტების დასკვნით გიორგი ჰედიასთვის სასიცოცხლო ჩვენებაა ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია-გადანერგვა, რომელიც სამწუხაროდ საბჭოთის ქვეყნებში არ კეთდება.

ჰედიას მშობლებს მოუვიდათ მოწვევა იტალიის ქალაქ პესაროდან, სადაც შეუძლიათ წარმატებით უმკურნალონ გიორგი ჰედიას, მაგრამ სამი თვის მანძილზე (რაც აუცილებელია მკურნალობისათვის) მათ უნდა გადაიხადონ საბჭოთა ფულზე გადაყვანით სამასი ათასი მანეთი.

მოგმართავთ თხოვნით შეძლებისდაგვარად არ დაიშუროთ სახსრები პატარა გიორგის სახსნელად ჩვენში უკურნებელი სენისაგან.

**ჩვენი რეკვიზიტებია:**

**ქალაქ სოხუმის ბინსოცბანკში ანგარიშსწორების ანგარიში — 16401.**

**ქალაქ სოხუმის შემნახველი ბანკის № 3482 განყოფილებაში გიორგი ნუგზარის ძე ჰედიას სახელზე გახსნილია პირადი ანგარიში № 248043, 246043.**

**სს ფრონტის აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაცია.**

---

## განცხადება

ჩვენ მივესალმებით საარჩევნო ბლოკ „თავისუფლების“ ინიციატივას არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ ორგანიზაციათა ტელედებატების მოწყობის შესახებ. ამასთან მიგვაჩნია, რომ ტელედებატების საქმიანად წარმართვისათვის მათში ერთჯერადად მონაწილეობა უნდა მიიღოს მხოლოდ ორმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ (საარჩევნო ბლოკმა). საქართველოს ტელევიზიამ, ყველა პოლიტიკური ორგანიზაციისა თუ ბლოკისათვის თანაბარი პირობების შესაქმნელად, სათანადოდ უნდა დაარეგულიროს მათი ტელედებატებში მონაწილეობის გრაფიკი.

ჩვენ თანახმა ვართ მონაწილეობა მივიღოთ ტელედებატებში ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციასთან (პირველ რიგში ბლოკ „თავისუფლებასთან“) მათთვის სასურველ დროს.

**საარჩევნო ბლოკი „თანხმობა, მშვიდობა, აღორძინება“.**

---

### საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიას

### საარჩევნო ბლოკის „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო-ს“

## განცხადება

საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონის 36-ე მუხლის მიხედვით „დაუშვებელია პარტიულ სიაში იმ პირთა შეტანა, რომლებიც იმავდროულად არჩევნების მონაწილე სხვა პარტიის წევრები არიან, გარდა ერთ საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტიებისა“. კანონის ამ დებულების განხორციელების მიზნით გთავაზობთ შემოწმებულ იქნას საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინი“-ს საარჩევნო ბლოკ „თანხმობა, მშვიდობა, აღორძინების“, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პარტიული სიები შემდეგი წესით: სკპ პირველად პარტორგანიზაციებში შემოწმებულ უნდა იქნას არსებობს თუ არა იმ პირთა განცხადებები პარტიიდან გასვლის შესახებ, რომლებიც შეტანილ არიან ზემოთ დასახელებულ პარტიულ სიებში. ცხადია დიდი მნიშვნელობა აქვს დაზუსტდეს, როდისაა განცხადება დაწერილი. შემოწმების შედეგები უნდა გაფორმდეს შესაბამისი აქტით და წარედგინოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ დაკმაყოფილებთ ჩვენს ამ მოთხოვნას, ჩვენ მზად ვართ ამ საკითხის რეალიზაციისთვის დავეხმაროთ ჩვენი წარმომადგენლები, რომლებიც, ცხადია ორივე მხრიდან აღჭურვილნი უნდა იყვნენ შესაბამისი უფლებამოსილებებით.

---

### ყურადღება

იყიდება იაპონური გასამრავლებელი მოწყობილობა (ქსეროქსი) „რიკონ“-5560.

ფორმატი — A-3, A-4.

ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონზე 84-01-[illegible]

---

### ძვირფასო მეგობრებო!

№ 1 საარჩევნო ბლოკი „თავისუფლება“ მოწიწებით გეპატიჟებათ ყველას, ვისაც გსურთ დაგვეხმაროთ საარჩევნო კამპანიის წარმართვაში. მოგვმართეთ მისამართით: **გრიბოედოვის ქ. 19, ოთახი 65, „დსხ“-ის შტაბ-ბინა, ტელ. 98-31-74, 98-67-58.**

ტელეფონით **98-67-52** შეგიძლიათ მიიღოთ ნებისმიერი ინფორმაცია საარჩევნო კანონთან დაკავშირებით, აგრეთვე, საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის შესახებ.

№ 1 საარჩევნო ბლოკი „თავისუფლება“

საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია.

„დსხ“-ი (დემოკრატიული არჩევანი საქართველოსთვის)

ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია

საქართველოს მწვანეთა პარტია

საქართველოს ეროვნული თანხმობის ასოციაცია

საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მამული, ენა, სარწმუნოება

## საფარა

ორი წელია, რაც კვლავ ამოქმედდა საფარის მონასტერი. ორი წელია წირვა-ლოცვის მადლით აივსო.

როგორც გვალვისაგან გახევებულ ბალახს ალბობს წვიმის ნამი, ისე ალბობს და ათბობს ადამიანთა გაყინულ გულებს ლოცვა, — ასე მოძღვრავს აქ ამოსულ მრევლს საფარის მონასტრის წინამძღვარი, მღვდელ-მონაზონი სერგი.

გარდა ძირითადი ტაძრებისა (წმინდა საბა განწმენდილისა და ღვთისმშობლის მიძინების ტაძრისა) სამონასტრო კომპლექსი მოიცავს პატარ-პატარა სამლოცველოებსა და ეკვდერებს. მზრუნველობა არ მოაკლეს საქართველოს ამ ისტორიულ სავანეს ძეგლთა დაცვის საზოგადოების წევრებმა. საფარის მონასტრის (ახალციხის რაიონი) წინამძღვარი მამა სერგი მადლობას მოახსენებს მათ და უსურვებს ღვთის მადლი გაჰყოლოდეთ ამქვეყნიერ და იმქვეყნიერ ცხოვრებაში.

**საკუთარი ინფორმაცია**

## ჰიორა

დღეს ეკლესიების აღდგენას დიდი ყურადღება ექცევა. იქნებ ჩვენი თხოვნაც ილოთ ყურად და გამოაქვეყნოთ ეს წერილი. რაჭის სოფელ ჰიორაში არის წმინდა გიორგის ეკლესია, რომლის რესტავრაცია დაიწყო 1986 წელს, მაგრამ, დღესაც დაუმთავრებელია, ყურადღებას არავინ აქცევს. იქნებ ვინმემ გაითვალისწინოს ჰიორელების თხოვნა. კაცი იმედით ცოცხლობს და ჩვენც მეტი რაღა დაგვრჩენია.

— გწყალობდეთ წმინდა გიორგი თქვენ, ჩვენ და სრულიად საქართველოს.

პატივისცემით
**მთვარისა ჩაბელიშვილი,**
ონის რაიონის სოფელი ჰიორა.

## მარტვილი და... პოლიგონი

ჩვენმა საზოგადოებრიობამ კარგად უწყის, 1989 წელს ამოქმედდა ათეულწლობით დადუმებული მარტვილის საკათედრო ტაძარი. ეს, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ ჭყონდიდელთათვის, არამედ სრულიად საქართველოსთვის დიდად სასიხარულო მოვლენაა. მაგრამ ამ წერილის მიზანი, სამწუხაროდ, ამ მოვლენით გამოწვეული სიხარულის გაზიარება როდია. ამ რამდენიმე დღის წინათ თავად გახლდით მარტვილის ტაძარში. პირდაპირ უნდა ვთქვა, მთავარი და ჩვენდა სავალალოდ ეს სრული ჭეშმარიტება გახლავთ — მარტვილის დიდებული ტაძარი საფრთხეშია!...

ამ ცოტა ხნის წინათ მარტვილის რაიონულმა გაზეთმა „ჭყონდიდმა" მთელი გვერდი მიუძღვნა ამ კუთხის უპირველესი ისტორიული ძეგლისა და მთელი საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტაძრის პრობლემებს. აქვეა ფოტოსურათებიც, რომლებზეც თვალნათლივ ჩანს, თუ როგორ ჩვენს თვალწინ იშლება და ნადგურდება ათასწლოვანი უმშვენიერესი ნაგებობა. პუბლიკაციის ავტორი დემურ კილასონია ჭეშმარიტი გულშემატკივრის პოზიციებიდან აღწერს ტაძრის დღევანდელ მდგომარეობას და შეუძლებელია ქართველი კაცის გული არ შეძრას ამ მდგომარეობამ. მოვიყვან ნაწყვეტს ამ პუბლიკაციიდან:

„გუმბათის სარკმლიდან ტაძრის ცენტრში — „მზის დისკოს" გამოსახულების პირდაპირ წვიმის წყალი ჩამოდის და გუბდება. აქვეა მარმარილოს არშიაშემოვლებული უნიკალური საფლავი ეკატერინე ჭავჭავაძისა და იმჟამინდელ სხვა რჩეულ ქართველთა საძვალე. თუ ასე გაგრძელდა, ცხადია, მათ იავარქმნის სრული საფრთხე ემუქრება.

საკურთხევლის ზედა გუმბათის ოთხივე კუთხე და ქვედა საყრდენი კედლები, ასევე აღმოსავლეთის ფასადი ნგრევის პირზეა.

სადიაკვნოს კედლები გაბზარულია.

დაწყებულია პირვანდელი მარნის გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარის კედლის დაშლა, ფარღალალაა ჩიქვანების საძვალის სახურავი, რომელიც დიდთოვლიანობისაგან ჩანგრეულია"...

ასე რომ, საქართველოს ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო, რომლის უშუალო მოვალეობასაც შეადგენს ამ ძეგლის გადარჩენა, დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს საქმეს!... გაჭიანურება-გადადების უფლება ასეთ დროს არავის აქვს!

პირადად ბატონ ირაკლი ციციშვილს ყველა ჭყონდიდელის სახელით ვთხოვთ, სასწრაფოდ მიავლინოს კომპეტენტური კომისია მარტვილს და უმოკლეს დროში მიიღოს ყველა საჭირო ზომები ტაძრის გამაგრება-რესტავრაციისათვის.

ახლა მკითხველის ყურადღება ერთ მეტად საჭირბოროტო საკითხზეც უნდა შევაჩერო. ეს საკითხი პირველად ეროვნული სამართლიანობის კავშირის გაზეთ „უწყებანის" პირველ ნომერში იყო ჩემს მიერ აღძრული, მაგრამ დღემდე არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია. პრობლემა კი იმდენად სერიოზული გახლავთ, რომ მას საქართველოს მთავრობის სერიოზული და მონდომებული მხარდაჭერის გარეშე ვერანაირად ვერ გადავწყვეტთ. საქმე შემდეგში გახლავთ.

პირველი: ქალაქ ხონის მახლობლად, ცხენისწყლის პირას ათეული წლების განმავლობაში, იდგა და დღემდე დგას სამხედრო ნაწილი, აქვეა ვერტოდრომი. მის გარშემო კი ხონის, აბაშისა და მარტვილის რაიონების მჭიდროდ დასახლებული მრავალი დიდი სოფელია. ამ სოფლების მოსახლეობას სამხედრო ვერტმფრენებისაგან მრავალი წელია მოსვენება აქვს დაკარგული. სამხედრო მეცადინეობებისა თუ მანევრების დროს, რაც საკმაოდ ხშირ და რეგულარულ ხასიათს ატარებს, ვერტმფრენები ჯგუფჯგუფად, დაბალ სიმაღლეზე დღედაღამ დაფრინავენ სოფლების თავზე. დიახ, სწორედ რომ დღედაღამ! რამდენიმე წლის წინათ ასეთი რამ გავიგე: ხონელებმა მოსკოვს მიმართეს ამის გამო და მათთვის ნორმალური დაძინებისა და მოსვენების კანონიერი უფლების მიცემა ითხოვეს. იქიდან ასეთი პასუხი მოსულა: **ახლავე გიშველით და ხადმე (თუნდაც სხვა რომელიმე რესპუბლიკაში!) გადაგასახლებთო.** ამ მიწერ-მოწერის დოკუმენტაცია მე სამწუხაროდ არ მინახავს და ამიტომ ამ ამბის დიდი სიზუსტით გადმოცემის პრეტენზიაც ვერ მექნება, მაგრამ აქ დაუჯერებელი და გამოგონილი არა მგონია რამე იყოს. ჩვენს დიად კავშირში, თანაც „იმ დროს" ხომ ყველაფერი იყო შესაძლებელი! დღეს ასე თუ ისე, მაინც სხვა დროა. ისეთ მჭიდროდ დასახლებულ მხარეში, როგორიც ზემოთ ჩამოთვლილი რაიონებია, არავითარი გამართლება არა აქვს სამხედრო-საავიაციო ნაწილის არსებობას და იგი რადაც არ უნდა დაჯდეს, სადმე სხვა, უფრო შესაფერის ტერიტორიაზე, უნდა იქნას გადატანილი. საქართველოს მთავრობამ უმოკლეს ვადაში უნდა აღძრას ოფიციალურად ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელობის წინაშე ეს საკითხი.

მეორე (და უფრო მტკივნეული!): ალბათ ყველას მრავალჯერ სმენია, ის საშინელი გრუხუნი, ზებგერითი სამხედრო-რეაქტიული თვითმფრინავის გაფრენას რომ ახლავს. მით უფრო, ეს სადმე ახლომახლო ხდება.

დღეს სამეგრელოსა და იმერეთში სანთლით საძებარია კრამიტით დახურული ოდა-სახლები. რატომ? ზებგერითების გამაყრუებელი ხმა ფანჯრის მინებსაც კი ამსხვრევს. კრამიტი კი არა, მთელი შენობები ზანზარებენ ამ დროს და კრამიტს სახურავზე რა გააჩერებს!... ამიტომაც ხალხმა სახლებს კრამიტი მოაშორა და შიფერითა და თუნუქით გადახურა. დაჭედებულ სახურავს შეზანზარება ისე იოლად ვერას დააკლებს. მაგრამ ახლა სხვა კუთხით შევხედოთ ამ საკითხს და ვიკითხოთ: რამდენ ასეთ შეზანზარებას გაუძლებს ათასწლოვანი ისტორიული ძეგლი, რომლის აშენების დროსაც ვერავინ იწინასწარმეტყველებდა, რომ სადღაც ახლომახლო ოდესმე ასეთი მრისხანე რეაქტიული თვითმფრინავების გასაშვები პოლიგონი მოეწყობოდა და მრავალი მიწისძვრას გადარჩენილი და მხნედ მდგარი მყარი კედლები ასეთი ბარბაროსული მუქარის ქვეშ აღმოჩნდებოდა?

ღრმადაა ვარ დარწმუნებული, რომ რანაირი რესტავრაციაც არ ჩაუტარდეს მარტვილის ტაძარს მალე, სულ რამდენიმე წელიწადში ისევ ნგრევის პირას აღმოჩნდება, თუ სამხედრო ძალები თავის ბაზებს არ გაიტანენ მისი მიმდებარე ტერიტორიებიდან. ყველამ კარგად უწყის, რომ თითოეული ეს პოლიგონი საკმაოდ ახლოსაა მრავალი ჩვენი ისტორიული ძეგლისთვის საშიშოდ, რათა მათ გამანადგურებელი ზიანი მიაყენოს!

ამ საკითხის დროულად დასმაც სადაც ჯერ არს, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების უშუალო ფუნქციებში შედის. მარტო დავით გარეჯით არ ამოიწურება ჩვენდა საბედნიეროდ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლები. მათი მოვლა-პატრონობა კი ჩვენგან სწორედ დღეს, ისე, როგორც არასდროს, ერისა და ბერისგან უდიდეს ძალისხმევას, სიფრთხილესა და პრინციპულობას ითხოვს. არავისი შიშისა და მორიდების დრო აღარ არის. თავის დროზე უკანონოდ ჩამორთმეული უფლებების კანონიერად დაბრუნება თამამად და გადაჭრით უნდა მოვითხოვოთ!

**იმედი ჯახუა**

## ვინ უმკურნალებს ძეგლს?

ამჟამად ეკოლოგიურ ცვლილებებთან დაკავშირებით განსაკუთრებით გაძლიერდა გრუნტის წყლების საერთო დონის აწევის ტენდენცია. მაგალითად, ეგვიპტეში, კაიროს მახლობლად მდებარე ფარაონ ხეფრენის დროს (დაახლოებით 2600 წლის წინათ ჩვენს ერამდე) აშენებული სფინქსი მძიმედ დაზიანდა: მარჯვენა მხრიდან მოსწყდა 300 კილოგრამის წონის ლოდი (რის გამოც ეგვიპტის ძეგლთა დაცვის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ახმედ კადრი მოხსნეს თანამდებობიდან. ის ამტკიცებდა — სფინქსს არავითარი საფრთხე არ ელისო).

საგულისხმოა, პირამიდების კომპლექსის მთავარმა არქეოლოგმა ზახი ხავასიმ გამოთქვა შიში, რომ სფინქსი შეიძლება მთლიანად დაიშალოს, თუ დროზე არ იქნა მიღებული გადამჭრელი ზომები.

ერთი სიტყვით, ექსპერტების დასკვნით დღეს დედამიწის ზურგზე ძეგლებისათვის ყველაზე დიდ საშიშროებას წარმოადგენს გარემოს გაჭუჭყიანება და ახლომდებარე წყალსაცავების შედეგად ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება, კერძოდ გრუნტის წყლების დონის აწევა.

სპეციალისტების აზრით ზემოთქმული სფინქსის გადასარჩენად უპირველეს ყოვლისა საჭიროა გრუნტის წყლების დონის დაწევა და სარესტავრაციო სამუშაოების დაწყება. რა ვითარებაა ამ მხრივ ჩვენთან?

ჯერ ერთი, ცნობილია, შაორის წყალსაცავმა, რომელსაც 1500 ჰექტარი ფართობი უჭირავს, მნიშვნელოვნად შეცვალა ჰავა-ჰაერი ამბროლაურის რაიონში და თავისი დაღი დაასვა ნიკორწმინდის ტაძარსაც.

მეორე, ვარძიის კომპლექსის და მესხეთის სხვა ძეგლების ახლომახლო ყოველგვარი წესებისა თუ ნორმების გარეშე ხდება ინერტული მასალების ამოღება, რის გამოც აუცილებლად მიგვაჩნია ქვის კარიერებზე კონტროლის დაწესება და ბევრი მათგანის გაუქმებაც მოსალოდნელი მეწყერული მოვლენების თავიდან აცილების მიზნით.

მესამე, დავით გარეჯს საფრთხეს უქმნის სამხედრო პოლიგონის „მეზობლობა". დანიელი სპეციალისტების გაანგარიშებით, ამ ქვეყნის სამხედრო ნაწილების საკუთრებაში მყოფ ტერიტორიების ნიადაგში ყოველდღიურად შედის 800 ტონამდე ტყვია, რომელიც მიწაში საშუალოდ 6-დან 13 წლამდე ყოვნდება და ხსნადი ნაერთების სახით გადადის მიწისქვეშა წყლებსა თუ ღია წყალსატევებში.

არანაკლები საშიში სიტუაციაა თბილისისა და მცხეთის მიდამოებში (გავიხსენოთ თბილისში საბურთალოს ბენზინის გასამართ სადგურთან მთის ჩამოქცევა), ხოლო ყინვალ-რუსთავის მთავარი საკანალიზაციო კოლექტორი გაწყვეტილია. ამის გამო არაგვისა და მტკვრის ნაპირებზე მდებარე მრავალი ობიექტი პირდაპირ უშვებს გაბინძურებულ წყლებს მდინარეში. ასევე უკანონოდ კვლავ გრძელდება მდინარე არაგვის კალაპოტიდან ინერტული მასალების მოპოვება...

დედაქალაქის ჩამდინარე წყლის ხარჯი დაახლოებით 200 მილიონი კუბმეტრია წელიწადში, საიდანაც 177 მილიონი კუბმეტრი გაუწმენდავი სახით მტკვარში ჩაედინება (!). ბინძურდება არა მარტო მიწისზედა, არამედ მიწისქვეშა წყლები, სირცეები და საფრთხე ექმნება ისტორიისა და კულტურის ძეგლებსა და საინჟინრო ნაგებობებს. იზრდება მეწყრული მოვლენების კერები, ამიტომ დღის წესრიგში დგება მიწისქვეშა წყლებისა თუ სივრცეების დეტალური გამოკვლევისა. ამ ტერიტორიებზე და ეკოლოგიური მდგომარეობის დაზუსტება, რათა თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი გართულებანი. ნუ დავივიწყებთ ის აუცილებლობა, გაეროს მიერ 1990-2000 წლები სტიქიურ უბედურებათა წინააღმდეგ ბრძოლის ათწლეულად არის გამოცხადებული.

**მედეა თავდიშვილი,**
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

**რედაქციისაგან:** ყველა ზემოთმოცემულ წერილს ჩვენი თხოვნით წინასწარ გაეცნო საქართველოს ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი, პროფესორი ირაკლი ციციშვილი. ასე რომ, იმედია, სპეციალისტთა, მეცნიერთა და ფართო საზოგადოებრიობის ძალისხმევით წერილში წამოჭრილი მწვავე საკითხები უთუოდ გადაიჭრება.

მამული, ენა, სარწმუნოება

# გულშემატკივარი მაინც არ ჩანს...



... დიახ, თბილისის ეროვნული სტადიონი კვლავ ცარიელია. არადა არ მოდის გულშემატკივარი „იბერიის" თამაშებზე. ვინც ესწრება, ეს, ალბათ, ყველაზე თავგამოდებული და ერთგული მაყურებელია, არადა ეროვნული ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი ბოლო დროს არც თუ ურიგო ფეხბურთს აჩვენებს.

ასე იყო 28-ე ტურის ცენტრალური შეხვედრის დროსაც, სადაც ერთმანეთს ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლები ხვდებოდნენ — „იბერია" და „ქუთაისი". მატჩმა (განსაკუთრებით კი პირველმა ტაიმმა) უაღრესად საინტერესოდ ჩაიარა, რაც ორივე გუნდის დიდი დამსახურებაა. შეხვედრის პირველი წუთებიდანვე თბილისელებმა მეტოქეს საკმაოდ მაღალი ტემპი შესთავაზეს და მათ იერიშებს ბოლო არ უჩანდა. დროის მცირე მონაკვეთში კახი კაჰარავას ზედიზედ ორჯერ შეეძლო თავისი გუნდის დაწინაურება, მაგრამ მის მიერ ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთები ორივე შემთხვევაში ქუთაისელთა კარის დარაჯის ნიკა ჩხეიძის აქტივში უნდა ჩაითვალოს. წინდაწინ უნდა ითქვას, რომ სტუმართა გუნდში ნიკა ჩხეიძე მართლაც საუკეთესო იყო. ორი ტაიმის განმავლობაში ქუთაისელთა მეკარეს სამუშაო არ მოკლებია და არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ანგარიშში სხვაობა გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ არა ჩხეიძის შესანიშნავი რეაქცია. მისი თანაგუნდელებისაგან კიდევ ორი ფეხბურთელის გამოყოფა გვინდა — გიორგი ნადირაძისა და როსტომ თორლაშვილის. დანამდვილებით შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ ნადირაძე დღესდღეობით უძლიერესია მარცხენა მცველის პოზიციაზე. ერთადერთი საგოლე მომენტი, რომელიც ქუთაისელებს ჰქონდათ პირველ ტაიმში, სწორედ მარცხენა ფრთიდან წარმოიქმნა. თემურ ფაიქიძემ კარის გასწვრივ ჩააწოდა ბურთი, სადაც ახალგაზრდა დავით ჯანაშია უაღრესად ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა, მაგრამ გია ჯიშკარიანმა და მალხაზ არზიანმა დროულად განმუხტეს სიტუაცია. ეს



იყო და ეს, ამის შემდეგ თბილისელებმა არაერთი საგოლე მომენტი შექმნეს მეტოქის კართან, მაგრამ კახი ცხადაძის, მიხეილ ყაველაშვილის, კახი კაჰარავასა და გია გურულის დარტყმები ხან ჩხეიძის საკუთრება ხდებოდა, ხან კიდევ ოდნავ სცდებოდა მიზანს. ერთადერთი ბურთი კი პირველ ტაიმში მეტად კურიოზულ ვითარებაში გავიდა. დაახლოებით 20-25 მეტრიდან საჯარიმო დარტყმა გია გურულმა შეასრულა და მის მიერ ზუსტად, მაგრამ არცთუ ძლიერად გაგზავნილი ბურთი

(დასასრული მე-7 გვ.).

# გამარჯვება ადვილი არ იქნება

ხვალ ბორჯომში საზეიმოდ გაიხსნება მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირი



ნონა გაფრინდაშვილი






ნანა იოსელიანი



ელენა ახმილოვსკაია-დონალდსონი



ალისა მარიჩი



ქეთევან კახიანი



ელიშკა კლიმოვა-რიხტეროვა



სიუე ჟუნი



ალისა გალიამოვა

ბრძოლაში პრეტენდენტის საგზურისთვის ჩაებმება თანამედროვე ქალთა ჭადრაკის ელიტის 8 საუკეთესო წარმომადგენელი. ესენი არიან: საერთაშორისო დიდოსტატები ნონა გაფრინდაშვილი (რეიტინგი 2435), ნანა იოსელიანი (2480), ელენა ახმილოვსკაია-დონალდსონი (აშშ, 2430), ალისა გალიამოვა (სსრ კავშირი, 2370), ალისა მარიჩი (იუგოსლავია, 2305), ელიშკა კლიმოვა-რიხტეროვა (ჩეხოსლოვაკია, 2340), საერთაშორისო ოსტატები ქეთევან კახიანი (2330) და სიუე ჟუნი, (ჩინეთი 2360).

ტურნირი 16 ოქტომბრამდე გასტანს, რადგან მეტოქენი მხოლოდ თითოჯერ შეხვდებიან ერთმანეთს, ესე იგი შეჯიბრება ერთ წრედ გამართება. პირველ და მეორე ადგილებზე გასული მოჭადრაკეები გაისად, იანვარ-თებერვალში გამართავენ ერთმანეთში მატჩს (8 პარტია) მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძესთან შეხვედრის უფლებისთვის.

ბორჯომის ტურნირი დიდ ინტერესს იწვევს ჭადრაკის სამყაროში, მიუხედავად იმისა, რომ უნგრელმა დიდოსტატებმა, დებმა იუდით და ჟუჟა პოლგარებმა, რომელთაც მსოფლიოში დღეს ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვთ (14 წლის იუდითს 2540, 21 წლის ჟუჟას — 2510), უარი თქვეს მონაწილეობაზე. ისინი მხოლოდ ვაჟებს ეპაექრებიან და არ აცხადებენ პრეტენზიას ჭადრაკის დედოფლის ტახტზე. რატომ? კაცს ბევრი რამ მოგდის ფიქრად. ერთი მათგანი, ალბათ მთავარი, ისაა, რომ დები არ არიან დარწმუნებული თავიანთ გამარჯვებაში. მარცხი კი დიდ შემოსავალს დააკარგვინებთ. მათმა უარმა ფიდეც გააკვირვა. პრეზიდენტმა ფ. კამპომანესმა ჯერ კიდევ შარშან თვითონ იშუამდგომლა ფიდეს კონგრესის წინაშე დები პოლგარების პრეტენდენტთა ტურნირში პერსონალურ მიწვევაზე. თავიდან დებიც თანახმა იყვნენ თამაშზე. მერე, როგორც ამბობენ, 15 ათასი დოლარი მოითხოვეს მონაწილეობისთვის. ბოლოს კი თამაშზე უარი განაცხადეს. აქ ალბათ, ისიც უნდა ითქვას, რომ შარშან ქართველმა დიდოსტატმა ქალებმა ამხანაგურ მატჩში გამოიწვიეს დები პოლგარები. კარგ გასამრჯელოსაც დაპირდნენ, მაგრამ შეხვედრა მაინც არ შედგა. არ სურთ და რა გაეწყობა.

ფართო საზოგადოებრიობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია პრეტენდენტთა ტურნირის ერთ წრედ გამართვამ. ადრე მსგავს ტურნირებში, 1986 წელს მალმიოში (შვეცია) და 1988 წელს წყალტუბოში მეტოქენი ორ-ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, რაც, ცხადია, ხელს უწყობდა უძლიერესი პრეტენდენტის ობიექტურად გამოვლენას. ახლა კი შეიძლება შემთხვევითობამ გადაწყვიტოს გამარჯვებულთა ვინაობის საკითხი. თავად განსაჯეთ: 7 პარტია ძალიან ცოტაა, რომ თითქმის თანაბარი ძალის მოჭადრაკეთა შორის უძლიერესი გამოავლინო. ამიტომაც ვამბობთ: გამარჯვება ძნელი იქნება. სხვათა შორის, ფიდეს ქალთა კომისიის თავმჯდომარემ, დიდოსტატმა ნანა ალექსანდრიამ არ დაიშურა ძალა და მონდომება ორწრიანი ტურნირის აღსადგენად, მოსკოვში ფ. კამპომანესს შეხვდა; მაგრამ არაფერი შეიცვალა. უკვე დაგვიანებული იყო.

ბორჯომში ჭადრაკს მიუსხდებიან ჭეშმარიტად ღირსეული მეტოქენი, რომლებმაც რაინდულად დაძლიეს აზოვისა და კუალა-ლუმპურის საზონათაშორისო ტურნირები, აგრეთვე, მსოფლიო პირველობის წინა ციკლის უძლიერესი პრეტენდენტები. ერთმანეთს დაუპირისპირდებიან დიდ ბრძოლებში გამობრძმედილი დიდოსტატები და ახალგაზრდა მოჭადრაკეები.

დიდ ინტერესს იწვევს სწორუპოვარი ნონა გაფრინდაშვილის გამოსვლა. მას არ სჭირდება ჯუნდრუკის კმევა. საქვეყნოდ ცნობილია მისი ლეგენდადქცეული საჭადრაკო მოღვაწეობა. ღვაწლმოსილი დიდოსტატის მდიდარი ერუდიცია და მებრძოლი სული ახალ მწვერვალებს იპყრობს. ბოლო დროს მან თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია ახალი თაობის მოჭადრაკეებთან უმძაფრეს ჭიდილში. საკმარისია, გავიხსენოთ მისი პირველი ადგილი კუალა-ლუმპურის საზონათაშორისო ტურნირში. ნონამ მშვენივრად იცის ძალთა მობილიზება კრიტიკულ სიტუაციაში, ამიტომ ბორჯომის „მოკლე“ ტურნირი მაინცდამაინც არ უნდა აშინებდეს მას.

28 წლის ნანა იოსელიანი და 33 წლის ელენა ახმილოვსკაია-დონალდსონი უკვე იყვნენ პრეტენდენტები. მათ არც ცოდნა და არც გამოცდილება არ აკლიათ. მთავარია, შეძლებენ თუ არა ისინი თავიდანვე ენერგიულ თამაშს. ჩეხოსლოვაკიელი 31 წლის ელიშკა კლიმოვა-რიხტეროვა, მართალია, გამოცდილი მოჭადრაკეა, მაგრამ, რა დასამალია, ჩამორჩება თავის გამოცდილ კოლეგებს. და მაინც იგი ტოლს არავის დაუდებს.

ტურნირში ოთხი ახალბედა პრეტენდენტი მონაწილეობს: 18 წლის ალისა გალიამოვა, 19 წლის ქეთევან კახიანი, 20 წლისანი ალისა მარიჩი და სიუე ჟუნი. ახალგაზრდული ასაკი მათ ნიჭსა და ძლიერ ხასიათზე მეტყველებს. ისინი ზღაპრული სისწრაფით იზრდებიან, ამიტომ ბორჯომში მათგან სიურპრიზებს უნდა ველოდოთ. მინდა, გამოვყო ჩვენი ქეთევან კახიანი. ყველა, ვინც თვალს ადევნებს მის სპორტულ გზას, ხედავს, რომ ბოლო ტურნირებში ქეთევანი სტაბილურად გამარჯვებულთა შორისაა. ამ ორიოდე თვის წინათ ქეთევანმა მოიგო აზოვის საზონათშორისო ტურნირი (გალიამოვასთან გაიყო პირველი-მეორე ადგილები) და ჩილეში მეორედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული 20 წლამდე გოგონათა შორის. ქეთევანი ძლიერი ნებისყოფის, უაღრესად შეუპოვარი და საკუთარ ძალებში დაჯერებული მოჭადრაკეა. უნდა ვიფიქროთ, რომ ნიჭიერი გოგონა თავგამოდებით იბრძოლებს სანუკვარი, პრეტენდენტის საგზურისთვის. ფიდე-ს მომავალ კონგრესზე (იგი ნოემბერში გაიმართება იუგოსლავიის ქალაქ ნოვი-სადში) ქეთევანს საერთაშორისო დიდოსტატის წოდებას მიანიჭებენ.

მაშ ასე, 6 ოქტომბერს ბორჯომში, საკონცერტო დარბაზ „ლიკანში“ სტარტს აიღებს პრეტენდენტთა ტურნირი. გაიმართება პირველი ტურის შეხვედრები. 16 ოქტომბრისთვის კი გვეცოდინება იმ ორი გამარჯვებულის ვინაობა, რომელთაგან ერთი მომავალში მაია ჩიბურდანიძის მეტოქე იქნება. ჩვენ კი ის დაგვრჩენია, მოვიკრიბოთ მოთმინება და ვუქომაგოთ ჩვენს თანამემამულეებს.

**თენგიზ გიორგაძე,**
**საერთაშორისო არბიტრი.**

# გულშემატკივარი მაინც არ ჩანს...

(დასასრული)

ჩხეიძემ ხელებში ვერ შეინარჩუნა და კახი კაჭარავას არ გასჭირვებია ცარიელ კარში გოლის გატანა. კაჭარავა ამ შეხვედრაში საკმაოდ აქტიური თამაშით გამოირჩეოდა, მაგრამ ასევე აქტიურობას იჩენდა მსაჯებთანაც, რის გამოც შეხვედრის მთავარმა მსაჯმა ანატოლი მილჩენკომ სამართლიანად გამოუტანა გაფრთხილება.

მეორე ტაიმიც თბილისელთა შეტევებით დაიწყო, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თამაშის ტემპი საგრძნობლად დაეცა. თბილისელების უპირატესობა იმით გამოიხატებოდა, რომ მათი ნახევარმცველები გია ჯიშკარიანი, თემურ ქეცბაია და ზაზა რევიშვილი მთელი შეხვედრის განმავლობაში საკმაოდ შრომატევად სამუშაოს ასრულებდნენ და მოედნის ცენტრში სრული ბატონ-პატრონები იყვნენ. იბერიელებმა მეორე ბურთი მრავალსვლიანი კომბინაციის შემდეგ გაიტანეს, როდესაც გია ჯიშკარიანმა ოსტატური დარტყმით კიდევ უფრო განამტკიცა თავისი გუნდის უპირატესობა. ასევე უპირატესობა ჰქონდათ თბილისელებს შეტევის მარცხენა ფრთაზე, მაგრამ ქუთაისელთა მარჯვენა მცველი ბეგი შავგულიძე ყველანაირ აკრძალულ ხერხებს ხმარობდა მეტოქეთა შესაჩერებლად. ამ მომენტებში კვლავ გამოიჩინა თავი ნიკა ჩხეიძემ, რომელმაც ზედიზედ ორი მეტად ძნელი ბურთის მოგერიება შესძლო. არანაკლები აპლოდისმენტები ხვდათ წილად აგრეთვე გია გურულსა და თემურ ქეცბაიასაც, რომლებმაც მეტად ძნელი და უხერხული მდგომარეობიდან შეძლეს ბურთის კარისაკენ გაგზავნა. მეორე ტაიმში ქუთაისელებსაც რამდენჯერმე ჰქონდათ პრესტიჟის გოლის გატანის შანსი, მაგრამ დავით ჯანაშიას, ალეკო დვალიშვილისა და ჯაბა წიკლაურის დარტყმები არაზუსტი აღმოჩნდა. საბოლოოდ „იბერიამ“ მორიგი გამარჯვება მოიპოვა და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ „იბერიას“ საკმაოდ „გრძელი“ სათადარიგოთა სკამი გააჩნია (ამ შეხვედრაშიც ძალზედ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ახალგაზრდა ფეხბურთელებმა მიხეილ ყაველაშვილმა და გიორგი ნემსაძემ), იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სეზონის ბოლომდე გუნდი ლიდერის პოზიციებს არ დათმობს. აი, გულშემატკივარი კი მაინც არ ჩანს...

გუნდებმა ეს საინტერესო შეხვედრა შემდეგი შემადგენლობებით ჩაატარეს:

**„იბერია“:** ხაპოვი, არზიანი, ცხადაძე, ყაველაშვილი (ქველაძე), ჯიშკარიანი, რევიშვილი, ქეცბაია, ჩიქოვანი, კაჭარავა (მაჭავარიანი), გურული, გოგიჩაიშვილი (ნემსაძე).

**„ქუთაისი“:** ჩხეიძე, თევზაძე, თორლაშვილი, ბზიკაძე, შავგულიძე, ნადირაძე, შენგელია (წიკლაური), ჯანაშია, ჯულელი (მორგოშია), წივწივაძე (დვალიშვილი), ფაიქიძე.

**ჯონი გურეშიძე**

**ოლეგ ველესიანის ფოტოები.**

**XXVII ტურის სხვა შეხვედრები ასე დასრულდა:**

**„გორდა“ — „ოდიში“ 2:1;**
**„გურია“ — „ხანავარდი“ 2:1;**
**„მზიური“ — „ცხუმი“ 1:0;**
**„ბათუმი“ — „მერცხალი“ 0:0;**
**„ივერია“ — „კოლხეთი“ 1:0;**
**„დილა“ — „ამირანი“ 7:0;**
**„კოლხეთი-1913“ — „შევარდენი-1906“ (გადაიდო).**

# აღორძინება არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „აღორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქველმოქმედო ასოციაცია „აღორძინების“ ინიციატივით:

## 8 ოქტომბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ტარდება საქველმოქმედო კონცერტი

**მონაწილეობენ:**

ელენე ყიფშიძე, სოფიკო ჭიაურელი, ზინაიდა კვერენჩხილაძე, გივი ბერიკაშვილი, ქართლოს კასრაძე, კოტე მახარაძე, ლევან უჩანეიშვილი, რამაზ იოსელიანი.

**ანსამბლები:**

„მართვე“, „ოთხი გია“, საქართველოს სიმღერისა და ცეკვის დამსახურებული აკადემიური ანსამბლი, პანტომიმის თეატრი და სხვანი.

დასაწყისი 20 საათზე, ბილეთები იყიდება ფილარმონიის სალაროებში

შემოსავალი გადაირიცხება სოფელ ჰუჯაბის მშენებლობის ფონდში.

## ფირმა „ჰერკულესთან“ არსებული უცხო ენების შემსწავლელი ცენტრი

აცხადებს მსმენელთა მიღებას 1990-1991 სასწავლო წლისთვის ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, თურქული და არაბული ენების შემსწავლელ ჯგუფებში. მსმენელები კვალიფიცირებული სპეციალისტების ხელმძღვანელობით 9 თვეში შეძლებენ სასაუბრო ენის ათვისებას. უცხო ენების შესწავლის თანამედროვე ფსიქოლოგიური მეთოდებისა და სპეციალური ტექნოლოგიის გამოყენება ამის სრულ გარანტიას იძლევა.

სასწავლო პროცესის ინტენსიფიკაციის მიზნით, ცენტრის მსმენელებს მოემსახურება ვიდეო-სალონი, სადაც ნაჩვენები იქნება სპეციალური სასწავლო მხატვრული და გასართობი პროგრამები. მხოლოდ ცენტრის მსმენელებისათვის იმუშავებს ბარი, სადაც მათ საშუალება მიეცემათ უკეთ აითვისონ შესაბამისი სასაუბრო ენის საფუძვლები.

ცენტრის ხელმძღვანელობა გპირდებათ თემატური საღამოების ორგანიზაციას და შეხვედრებს საინტერესო პიროვნებებთან. მსმენელების სურვილის გათვალისწინებით მოეწყობა ექსკურსიებიც.

მიმდინარეობს ჯგუფების დაკომპლექტება!

დამატებითი ცნობებისათვის დაგვირეკეთ: **98-48-53**, ყოველდღე 10-დან 18-საათამდე.

## ყურადღება!

ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისის“ პრეზიდიუმი აცნობებს რაიონული და საქალაქო ორგანიზაციებს, რომ ასოციაციის მორიგი რესპუბლიკური თათბირი გაიმართება ა. წ. 6 ოქტომბერს.

შეხვედრა დანიშნულია 11-ის ნახევრისათვის ქაშუეთის ტაძრის ეზოში.

**ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისის“ პრეზიდიუმი.**

## გასწორება

„ახალგაზრდა ივერიელის“ 29 სექტემბრის ნომერში შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საზოგადოების (ასოციაცია „კათარზისი“) განცხადებაში „საპარიკმახეროების საყურადღებოდ“ დაშვებულია უზუსტობა. მესამე სტრიქონის ბოლოსწინა აბზაცი შემდეგნაირად უნდა იკითხებოდეს:

„საპარიკმახეროებში პუდრისა და მოჭრილი თმების მოსაცილებლად ბამბის ნაცვლად გამოიყენება მრავალჯერადი ხმარების ღრუბლები, აგრეთვე მრავალჯერადად იყენებენ ფუნჯებს, რაც დაუშვებელია“.

## გზა ქაშუეთისაკენ

ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისის“ სათნოების ორდენი შეახსენებს ყველას, ვისაც სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს ჰუმანიტარულ მოძრაობაში „კვირაში ერთი დღე მოყვასს“ და ეს დღე თავის ყველაზე გაჭირვებულ თანამოძმეს დაუთმოს, რომ ორდენის წევრები ტრადიციულად შეიკრიბებიან ქაშუეთის ტაძრის ეზოში შაბათს, 6 ოქტომბერს 11 საათისათვის.

ასი ყველაზე უქონელი თბილისელისათვის სამყოფ პროდუქტებს ამჯერად შეიძენენ გაერთიანება „მიონისა“ და ქარხანა „გაზოაპარატის“ თანამშრომლები.

**სათნოების ორდენი**
**(ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისი“)**

## ყველას, ვისაც იზიდავს აღმოსავლური ორთაბრძოლები, იწვევს

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-საკონსულტაციო ცენტრთან არსებული კარატეს კლუბი „ჯიქი“.**

კლუბში მუშაობენ კვალიფიციური და გამოცდილი მწვრთნელები, ჰყავთ 1990 წლის თბილისის და საქართველოს ჩემპიონატის ჩემპიონები და პრიზიორები; კლუბს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საქართველოსა და უცხოეთში ჩატარებულ ნებისმიერ ჩემპიონატში.

კლუბი ურთიერთობას ამყარებს საზღვარგარეთის ქვეყნებთან, დღესდღეობით კავშირი აქვს ამერიკასთან, იაპონიასა და ჩინეთთან, აწყობს გასვლებს ამ ქვეყნებში, შეუძლია თავისი სახსრებით ჩაატაროს ტურნირი, სხვადასხვა ქალაქიდან მოიწვიოს გუნდები და ამ დარგის სპეციალისტები.

სამეცნიერო-საკონსულტაციო ცენტრს აქვს ფსიქოლოგიური კაბინეტი, სადაც მუშაობენ ამ დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. აქვე ეწყობა ლექციები, სადაც მსმენელებს აცნობენ აღმოსავლური ორთაბრძოლების ისტორიას, აჩვენებენ ამ თემისადმი მიძღვნილ მხატვრულსა და დოკუმენტურ ფილმებს.

კარატეს კლუბი „ჯიქი“ ეძებს სპონსორებს, რომლებსაც გაუწევს რეკლამას და დაეხმარება უცხოეთის ქვეყნებთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებაში.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოგვაკითხონ **ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს, ქავთარაძის ქუჩა № 23, II ექსპერიმენტულ სკოლაში.**

**ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონით: 31-02-79.**

## ვიზების სათარგმნად

**გთხოვთ, მიმართოთ კოოპერატიულ ფირმა „ზევსს“, რომელიც მიგიღებთ ყოველდღე დასვენების დღეების გარდა. 11-დან 21 საათამდე. ვიზების თარგმნა ხდება ერთ დღეში, გთხოვთ, წინასწარ დაგვიკავშირდეთ ტელეფონით, 22-58-40 და გვეწვიოთ მისამართზე: თბილისი, პეტრიაშვილის ჩიხი № 3.**

## ყურადღება!

**გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ და სატელევიზიო პროგრამა „ილუზიონში“ რეკლამები შეგიძლიათ შეუკვეთოთ ტელეფონზე: 37-58-25; მისამართი: ბუდაპეშტის № 1. (11.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე).**

**ფირმა „არგო“-ს სარეკლამო სააგენტო**

# განცხადება

ქვემო ქართლის ბებერ მიწაზე საქართველოს სადიდებლად გუგუნებენ დმანისის სიონის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის ზარები.

ეკლესიას საკუთარი მრევლი ჰყავს, თუმცა ჯერჯერობით არც ისე მრავალრიცხოვანი...

ეკლესიას საკუთარი ანგარიში აქვს გახსნილი დმანისის აგრომრეწვბანკში. მსურველებს, როგორც საწარმოო-დაწესებულებებს, ასევე ცალკეულ პიროვნებებს, შეუძლიათ თანხა გადარიცხონ **№ 70059** ანგარიშზე. მთავარია არა იმდენად თანხის რაოდენობა, რამდენადაც სურვილი შესაწირავის გაღებისა.

შეგახსენებთ, რომ ეკლესიის მსახურნი ყოველი წირვის დროს აღავლენენ ლოცვებს შესაწირავის გამღებთათვის.

ღმერთმა დაგლოცოთ.

ახალგაზრდა ივერიელი

Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მისაღები — 93-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი
მერაბ გალარჯიშვილი

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, გ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, სიმაღლის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 68400 უე 00916

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380008
მ. კოსტავას ქ. № 14.